ლიტერატურული საქართველო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 12 (292) გამოცემის მე-16 წელი

1972 წლის 23 ივნისი

დაიბადა 1840 წლის 27 ოქტომბერს. გარდაიცვალა 1912 წლის 14 ივნისს, თაობებს დაუტოვა „დედაენა“

ალუტა ბერულავა

„დედაენის“ შეხსენება

ბევრი გვყავდა წინაპარი,
მაღალი და ბრძენი,
ვინც ანდერძად დაგვიტოვა
სიამაყე ჩვენი.
ზოგი იყო ბუმბერაზი,
ზოგი კიდევ მწერი,
ზოგი იყო ოქროპირი,
ზოგიც სიტყვაძვირი.
ზოგი იყო მხრებგაშლილი,
როგორც ქართლის ზეცა,
ზოგი იყო მოდრეკილი,
ბერის კაბა ეცვა.
ზოგს ბერმუხას ადარებდნენ
ზოგსაც კიდევ ჭონდარს,
სალოცავად ყველა მათგანს
საქართველო ჰქონდა.
შენც იმ უქრობ ვარსკვლავედში
მორიდებით დგახარ,
ვისიც მზე და ელვარება,
ჩვენ გვინათებს ახლა!
„დედაენას“ როცა ჰქმნიდი
შთაგონების ძალით,
შენს წინაპარს და სეხნიას
შეევედრე კრძალვით:
— „შუშანიკის“ შემოქმედო,
სიტყვა როგორ შემოგბედო,
მაგრამ უნდა მომაშველო
შენი სიბრძნის კალთა!
მერე განახეს ქუდმოხდილი
რუსთაველის კართან:
— ვეფხვის ღეჭის შემოქმედო,
სიტყვა როგორ შემოგბედო,
მაგრამ უნდა დამილოცო
ჩემი „დედაენა!“
დავითი რომ გაიხსენე,
გულს დაგაჩნდა წყენა:
— შენც უშვილო, მეც უშვილო,
მამულს შევწიოთ,
საქართველოს მზეს ვუშველოთ,
მხოლოდ მისთვის ვწიროთ!
მთაწმინდისკენ გაიხედე
ანთებული მზერით:
— შენი მერნის კვალს ვადიდებ
შენივ ფეხთა მტვერი.
მოდი, შუქი მოაფინე
ამა წიგნის ფურცლებს!
ესა სთქვი და სამთა ძმათა
შეაჩერდი უცებ:
— საყვარელო ჩემო ძმებო,
მე უთქვენოდ რა ვარ,
მწყურვალივით ვეწაფები
თქვენი სიტყვის ჯავარს!
ესე ჰქმნიდი „დედაენას“
თრთოლვითა და კრძალვით,
ესე ჰქმნიდი „ბუნების კარს“
სიყვარულის ძალით...
„დედაენის“ შემოქმედო,
მინდა სიტყვა შემოგბედო:
შენს გაკვალულ გზას მივყვებით
„დედაენის“ სხივით,
ვით სიცოცხლის ძახილს ვუსმენთ
შვილთა ჟივილ-ხივილს.
იმ პატარებს ვანაცვალებთ
სიცოცხლეს და ფიქრებს,
მათ მივუძღვნით ულამაზეს
ოცნებებს და წიგნებს.
მათ მივუძღვნით ჩვენ მომავლის
ჩაუქრობელ რწმენას
და თაობებს შევაყვარებთ
უკვდავ „დედაენას“!



„წარსულის შვილი, მომავლის მამა, მყოფადის გადია“

აკაკი

დიდი მოძღვარი

იაკობ გოგებაშვილის ამაგი ქართველი ხალხის შეგნებაში დიდების შარავანდედით არის მოსილი. იაკობმა სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა განუსაზღვრელი სიყვარული, რაც ჭეშმარიტად უკვდავია.

იაკობ გოგებაშვილი ქართველ სამოციანელთა ბრწყინვალე ხომლის სასახელო წარმომადგენელია; იგი ღირსეულად უმშვენებს მხარს დიდ ილიასა და აკაკის. სწორედ მას, იაკობს, არგუნა ჟამთა სვლამ წილად სამოციანელთა მიერ საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების დემოკრატიულ ნიადაგზე გარდაქმნისათვის წარმოებულ ბრძოლაში თავკაცობა გაეწია გადამწყვეტი მნიშვნელობის ისეთი უბნისათვის, როგორიც იყო ახალგაზრდობის აღზრდა მაღალი მოქალაქეობრივი სულისკვეთებით. ისტორიის ეს არჩევანი იაკობმა უბადლოდ გაამართლა.

იაკობ გოგებაშვილს სამართლიანად თვლიან ახალი ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლად. ხალხის საერთო ინტერესებისადმი დაქვემდებარებული სკოლის დაფუძნებას მოახმარა მან დაძაბული შრომით აღსავსე სიცოცხლე. დედაენაზე მოქმედი, მეცნიერულ ნიადაგზე დამყარებული სკოლისათვის ბრძოლა, ახალგაზრდობის ჰარმონიულად განვითარება და სრულყოფა წარმოადგენდა მომავლისადმი ღრმა რწმენით შთაგონებული იაკობის სიცოცხლის მისწრაფებას. ვერ ნახავთ მოზარდი თაობის ურთულესი საქმის ვერც ერთ მნიშვნელოვან მკლავსა და მუხლს, რასაც იაკობ გოგებაშვილის მადლიანი კალამი არ ეხებოდეს, გამჭრიახი აზრი და პრაქტიკული სიბრძნის მადლი არ ამშვენებდეს. იაკობ გოგებაშვილის ნაწერებს აღზრდის ყველაზე ურთულესი პრობლემების შესახებაც კი ფართო განსწავლულობის, აზრის სიღრმისა და ჭეშმარიტი ჰუმანურობის ბეჭედი აზის, რაც მას იმდროინდელ სახელმოხვეჭილ პედაგოგთა პირველ რიგებში აყენებს.

ამ საერთო ფონზე განსაკუთრებულია ამაგი, რაც იაკობმა დედაენასა და მისი უფლებების დასაბუთებას დასდო, იმ დროისათვის ესოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა რომ ჰქონდა.

იან ამოს კომენსკის, ჟან-ჟაკ რუსოს, ჰერდერის, ჰუმბოლდტის, უშინსკის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და პოტებნიას მსგავსად დედაენა გოგებაშვილისათვის ყველაზე სათუთი ენაა, როცა უცხო ენა არის პირველ ყოვლისა მეხსიერების ენა — პირველი შესისხლხორცებულია დედის ძუძუსთან ერთად, მეორე კი — შეძენილია. „მეტადრე ერთს ფრიად სიმპატიურს სფეროში აშკარავდება უძლურება ყველა უცხო ენისა, — წერს ერთგან გოგებაშვილი, — ეს გახლავთ ნაზის გრძნობის, ალერსის სფერო. ბავშვი, მოშორებული და მოკლებული დედა-ენას, ვერასდროს ვერ მიესაყვარლება თავის მშობელთა და ნათესავთა სულის გრძნობის გამომხატველი სიტყვებით, ვერასდროს ვერ იპოვნის იმისთანა ღრმად გულში მოსახვედრს გამოხატულებათა, როგორიც არიან: „შენი ჭირიმე“, „შენ გენაცვალე“, „შენ გეთაყვანე“, „თავს შემოგევლე“, „წამლად დაგვდე“ და მრავალი სხვანი“. ერთგან კიდევ დედაენის დამოკიდებულებას ადამიანურ ფსიქიკასთან იაკობი ადარებს ანთეის დამოკიდებულებას დედამიწასთან. მთელი ერი, ანთეის მსგავსად, ძლიერია, როცა იგი თავის ნიადაგზე მტკიცედ დგას და სუსტდება, იღუპება, როცა ამ ნიადაგს სწყდება.

დედაენის ბუნების კვლევის დარგში გოგებაშვილის დამსახურების დახასიათებისას, გაკვრით მაინც, უნდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა მისი ბრწყინვალე ფსიქოლოგიური ეტიუდის „იავნანამ რა ჰქმნას?“ შესახებ. მასში ავტორმა დამაჯერებლად დაგვანახა, რომ ჩვეულებრივ სამეტყველო ენასთან ერთად, რასაც ესოდენ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვის სულიერი ცხოვრების ფორმირებისათვის, არსებობს კიდევ მეორე, ჰანგების ენა, მუსიკალური მეტყველება. მსგავსად ჩვეულებრივი მეტყველებისა, ეს უკანასკნელი მტკიცე შინაგანი სიმებით არის დაკავშირებული ხალხის ფსიქიკასთან.

(დასასრული მე-3 გვ.).

სტუმრები გულგარეთიდან

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები ხშირად მასპინძლობენ საზღვარგარეთელ თანამოკალმეთ.

ამჯერად მათ ბულგარელი მწერლები ეწვივნენ: კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტი, კულტურის სახალხო მოღვაწე გიორგი ცანევი; პროზაიკოსი, დიმიტროვის პრემიის ლაურეატი, კულტურის სახალხო მოღვაწე, ბულგარეთის მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი კამენ კალჩევი, მისი მეუღლე მარია სტოლაროვა, ცნობილი ბულგარელი მხატვარი, გრაფიკოსი და ფერმწერი. სტუმრებს თან ახლდა ბულგარული ლიტერატურის სპეციალისტი და მთარგმნელი მაია ტარასოვა. სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი გრიგოლ აბაშიძე, მდივნები: იოსებ ნონეშვილი, ნოდარ გურეშიძე, პოეტები ალეკო შენგელაია, ლადო სულაბერიძე, რევაზ მარგიანი, „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ ენაზე მთარგმნელი სერგი წულაძე და სხვები. სტუმრ-მასპინძლებმა ისაუბრეს ბულგარულ-ქართული ლიტერატურის საკითხებზე.

შემდეგ სტუმრები ეწვივნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს, იყვნენ ბორჯომში, სადაც მოინახულეს დიმიტროვის სახელთან დაკავშირებული ადგილები.

— მოხიბლულნი ვართ საქართველოთი, ქართველი ხალხით, ქართული ბუნებით, ქართული კულტურით, მუზეუმებით, მხატვართა ნამუშევრებით, — განაცხადეს სტუმრებმა.

რეჟისორის ხსოვნის დღე

9 ივნისი კოტე მარჯანიშვილის დაბადების თარიღია. ამ დღეს მთაწმინდაზე ქართული თეატრის მოღვაწეებმა თავი მოიყარეს დიდი მასწავლებლის საფლავთან. აქ მოვიდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები **ვერიკო ანჯაფარიძე** და **დოდო ანთაძე**, რესპუბლიკის სახალხო არტისტები **დიმიტრი ალექსიძე, გიგა ლორთქიფანიძე, კოტე მახარაძე**, კრიტიკოსი **ბესარიონ ყიფიანი** და მრავალი სხვანი. თეატრის მსახიობთა ყვავილებით შეამკეს დიდი რეჟისორის საფლავი, წუთიერი დუმილით პატივი სცეს ქართული თეატრის ფუძემდებლის ხსოვნას.

იმავე საღამოს გაიმართა კოტე მარჯანიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო თბილისის ოფიცერთა სახლში, დარბაზში, სადაც 1922 წელს თბილისში ჩამოსულმა კოტე მარჯანიშვილმა რუსულ დასში განახორციელა მაქსიმ გორკის „ფსკერზე“.

საღამოზე შეიკრიბნენ თეატრის მოღვაწენი, ოფიცრები, ჯარისკაცები. სპექტაკლ „ურიელ აკოსტას“ პირველი გენერალური რეპეტიციის შესახებ მოგონებით გამოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი **ვერიკო ანჯაფარიძე**. კოტე მარჯანიშვილის იუბილესათვის მზადებაზე ილაპარაკა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა **დოდო ანთაძემ**.

ქართული მელოდიები მოსკოვში

მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს სახალხო არტისტის **ოთარ თაქთაქიშვილის** საავტორო კონცერტი, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

კომპოზიტორს დიდი შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებს მოსკოველ კოლეგებთან. მისი ნაწარმოებები ამშვენებს დედაქალაქის საუკეთესო კოლექტივებისა და სოლისტების რეპერტუარს. ამჯერადაც ქართველ მუსიკოსებთან — რესპუბლიკის სახალხო არტისტ ნოდარ ანდღულაძესთან, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატ მარინე მდივანთან და ვოკალურ ანსამბლ „გორდელასთან“ ერთად გამოვიდნენ სრულიად საკავშირო რადიოსა და ტელევიზიის დიდი გუნდი და მოსკოვის სახელმწიფო ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი. დირიჟორობდა ავტორი.

შესრულდა ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, „გურული სიმღერები“ ვოკალური ანსამბლისა და შერეული გუნდისათვის და კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის.

მოსკოვში, სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალურ თეატრში მალე გაიმართება ოთარ თაქთაქიშვილის ახალი ოპერის — „სამი სიცოცხლის“ პრემიერა.

ქართველ კოოპერატორთა სტუმრები

საქართველოში სტუმრობამ, ქართველ კოოპერატორთა საქმიანობის გაცნობამ გაამდიდრა ჩვენი გამოცდილება, — განაცხადა ინდოეთის სამრეწველო კოოპერატივების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **მაჰადირ დასმა**.

მაჰადირ დასი და მისი კოლეგები — სამომხმარებლო კოოპერატივების ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **პანუმან პანუმაჰა** და გუჯარათის კოოპერაციული ბანკის პრეზიდენტი **მაგანბჰან პატელი** სამ დღეს იყვნენ საქართველოში, შეხვდნენ და ესაუბრნენ ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს **ნიკოლოზ ჯავახიძეს**. საუბარში მონაწილეობდნენ ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეები **ტიხონ ჩაჩანიძე, კონსტანტინე ბუხრაძე, ნოდარ ქებაძე** და **სერგო ესაძე**.

სტუმრები გაეცნენ კადრების მომზადებას თბილისის კოოპერაციულ ტექნიკუმში, საგარეჯოს, სიღნაღის, გურჯაანისა და თელავის რაიონების სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობას.

„ორერა“ — იუბილარი

ძალზე ბევრს მოგზაურობს პოპულარული საესტრადო ანსამბლი „ორერა“. ამ მხრივ იგი ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ აკადემიურ ანსამბლს თუ ჩამოუვარდება.

„ორერა“ ახლახანს დაბრუნდა ფინეთიდან და მას კვლავ უხმობს შორეული გზა. ამჯერად გასტროლები გაიმართება იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში.

კანადასა და ამერიკაში

ბავშვთა და მოზარდთა თეატრების საერთაშორისო ასოციაციის IV გენერალურ ასამბლეაზე კანადასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრნენ მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თენგიზ მაღალაშვილი და ლენინური კომკავშირის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრის დირექტორი ირინე გოცირიძე.

ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ბავშვთა და მოზარდთა თეატრების საერთაშორისო ასოციაციის ოცზე მეტი ეროვნული თეატრის ოფიციალური დელეგაციები და მეთვალყურენი 12 ქვეყნიდან.

ასამბლეას დაუკავშირდა ბავშვთა თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის ბავშვთა ცენტრალური თეატრი სპექტაკლით „პუშკინის ზღაპრები“.

ბერლინის ბავშვთა თეატრი ასამბლეას წარუდგება ქართველი დრამატურგს გიგა ნახუცრიშვილის პიესა „ჭინჭრაქათი“, რომელიც უკვე მეორე წელიწადია დიდი წარმატებით სარგებლობს გერმანელ ბავშვებში.

ლაიოშ ქაარდის „იაკუბ ბეი“

ქართველ მწერლებს, რომლებიც იმდენს და ისეთს არ წერენ, რამდენსაც მოითხოვენ, მიზანს კი ზოგჯერ აღწევენ კიდეც. არიან ლიტერატურის ისეთი მაშვრალნიც, რომლებიც მოკრძალებით ემსახურებიან ადამიანთა გულისთქმას, ხალხთა შორის ძმობისა და ყოველი სიკეთის გაღვივებას, სათუთად დასთათბირებენ თემას და თავიანთ ლიტერატურულ მოწაფარს მორიდებით წარადგენენ ხოლმე მკითხველის სამსჯავროზე. მკითხველისათვის კი არაფერია ისეთი მიმზიდველი და მადლიერებით კეთილმოსილი, როგორც შემოქმედის კეთილშობილური თავმდაბლობა და მოკრძალება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მის ნახელავს არც მწერლური მადლი აკლია, არც ცხოვრებისეული გამოცდილება და არც მოკალმის ოსტატობა.

სწორედ ჭეშმარიტი შემოქმედისათვის დამახასიათებელი მოკრძალებაა ჩაქსოვილი ცნობილი უნგრელი მწერლის, ქართველი ერის მოსიყვარულე პროზაიკოსის, საქებარი ინტერნაციონალისტისა და ხალხთა შორის ძმობამდე ამაღლებული მეგობრობის კეთილშობილი მაშვრალის ლაიოშ ქაარდის წინათქმაში, ამ ცოტა ხნის წინათ ქართულად თარგმნილ და გამოცემულ მის რომანს რომ უძღვის: „იაკუბ ბეის“ ყოველ სტრიქონში ჩაქსოვილია საქართველოსადმი დიდი სიყვარული. დაე, ეს სიყვარული ბოდიში იყოს რომანში არსებულ ნაკლოვანებათა გამო“. ლაიოშ ქაარდის ტალანტისა და, რაც მთავარია, შემოქმედებითი თავმდაბლობის პატივისმცემელი ქართველი მკითხველი მადლიერების გრძნობით უპასუხებს ზემოთმოყვანილ მის სიტყვებს — არა, ბატონო ლაიოშ ქაარდ, მოსარიდებელი და საბოდიშო არაფერი გაქვთ, სოტიარის ოქრის დაბა კ... — დ-ში მცხოვრები თქვენი შორეული ნათესავის ქმარი, დოქტორი იმრე მოლნარი, თქვენივე თქმით „ვონებამახვილი კაცი“, ზოგიერთი ინტელიგენტისათვის დამახასიათებელი გადაჭარბებული მომთხოვნელობითა და გონებამახვილობით ყოფილა მდიდარი, როცა თქვენთვის, სუმრობით უთქვამს ნავახშმევს, ბანქოს თამაშის დროს „იაკუბ ბეის“ ლიტერატურული საფუძვლის გამოცემამისას: „ვიცი, წიგნის ჭია ხარ, თუ ძალიან გაუფრთხილდები, ამ ხელნაწერს რამდენიმე თვით გაბრხოვებ. აბა, ვნახოთ რა წიგნი გამოგივა. იცოდე, მიხაი ბოლუტენსკიზე რომ დაწერე, ისეთი მოსაწყენი არ იყოს“.

არა, ბატონო იმრე მოლნარი, თქვენმა შორეულმა ნათესავმა და ჩვენმა ახლობელმა მოქართულემ მე-18 საუკუნის საქართველოში მცხოვრებ რაინეგსზე, ერეკლე მეორის — ჩვენი სასიქადულო ერისკაცის — დაახლოებულ უნგრელ მამულიშვილზე, შესანიშნავი წიგნი დაწერა, რამაც ჩვენი მკითხველის სამარადისო სიყვარული და ღრმა პატივისცემა შეიმატა, როგორც მწერალს, ისე ხალხს, რომლის სისხლ-ხორციც ის არის, თქვენ კი მადლიერებით დაგიმახსოვრათ იმ ფასდაუდებელი ღვაწლისათვის, რაც ხალხთა ძმობის იმ მატიანის მოვლა-პატრონობით იღირსეთ.

მე მიზნად არ ვისახავ რომანის ლიტერატურულ გარჩევას, ეს სიტყვა ლიტერატურისმცოდნეთათვის მიმინდვია, და ეჭვი არ მეპარება, რომ ძვირფას მწერალს მადლობის გრძნობით შეუქებენ შრომის სიყვარული, ტალანტს, კალმის მადლს, შემოქმედებით წვამდე აღზევებულ შინაგან მგზნებარებას, მოქალაქეობრივ სისპეტაკეს და ყველა იმ სიკეთეს, რაც ესოდენ აუცილებელია არა მარტო ხალხთა — კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე დაწერილი რომანისათვის, არამედ ღირსეული შემოქმედის ყველა მონაგარისათვის, — მე მიხდა განსაკუთრებული პატივისცემით და მოკრძალებული სიყვარულით მოსილი მწერლური მადლობა ვუთხრა მწერალს, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ქართველი ერის წარსულში ყველაზე მღელვარე და ნათელმოსილი ეპოქის — ერეკლე მეორის დროინდელი ჩემი სამშობლოს ისტორიის მიჩრდილული ფურცლების გაშუქება-გამომშუქურებას, გათბობასა და მადლცნებას. მინდა მწერლური მადლობა ვუთხრა მწერალს იმისათვის, რომ მართლად გაიგო ჩვენი ერის ისტორიული, საუკუნეებში გარდასული გულისტკივილი, იწამა ჩვენი ეროვნული ჭირ-ვარამის უკეთესი სამკურნალო მალამო, თქვა მართალი სიტყვა, რომ წინანდელ დიდმპყრობელურ თურქეთშიც ბევრი კეთილი კაცი იხილა და რომ საქებარი ერეკლესეული შორსმჭვრეტელობა, პოლიტიკური ტალანტი, სახელმწიფოებრივი სიბრძნე აღიარა.

ეჭვი არ მეპარება, რომ რომანის ღირსება და სიკეთე სულ მოკლე დროში მოითხოვს ჩვენი გამომცემლებისაგან ჩვენის ხელმეორე გამოცემას. სწორედ იმისათვისაც, რომ ავტორმა შემდგომი გამოცემისათვის მოასწროს გათვალისწინება და შესაბამის შესწორებათა შეტანა, თუკი ამას, რასაკვირველია, მიზანშეწონილად ჩათვლის, გვინდა ერთადერთი მოკრძალებული მოსაზრება გამოვთქვათ ერეკლე მეორის პიროვნების იმ ჩანახატის გამო, რომელიც ავტორს სიყვარულით შეუქმნია.

ცნობილია, რომ ქვეყნად არ არსებობდნენ ისეთი სახელგანთქმული მოღვაწენი, რომლებიც აბსოლუტურად მიმნდობნი ყოფილიყვნენ ყველასა და ყველაფრის მიმართ, განსაკუთრებით კი ისეთ ვითარებაში, როგორშიც ერეკლე მეორის მიერ გაერთიანებული ქართლ-კახეთი იყო, თანაც სრულიად მოულოდნელად მოვლენილი ისეთი უცხოელისადმი, როგორიც ერეკლეს კარისათვის გახლდათ მოგზაური რაინეგსი. ისიც ცნობილია, რომ ისევე, როგორც ყველა ქვეყნის ყველა მმართველის გვერდით ერეკლესთანაც იყვნენ მრჩევლები, რომელთა აზრი, მოღვაწეობა და საქმიანობა გაპირობებული იყო ამა თუ იმ ინტერესითა და მოსაზრებით, საკუთარი პრივილეგიების დაცვით ნახელმძღვანელები ორიენტაციით და, ზოგჯერ, მსტოვრობითა და ჯაშუშობითაც. რუსებს აქვთ ბრძნული ხალხური თქმა — ენდე და შეგამწყნეო. ამ სიბრძნეს არც ერთი სახელმწიფო მოღვაწე არც ერიდებოდა და არც მორიდებია. ამ მხრივ ერეკლეც არ იყო გამონაკლისი, პირიქით, მას გაცილებით მეტი სიფრთხილე მართებდა თუნდაც იმიტომ, რომ არც ერთი სამეფო კარი ისე ჭრელად არ გვესახება, როგორადაც ყოველი მხრიდან მტრებით გარშემორტყმული ერეკლე მეორის სამეფო კარი იყო.

ამ პირობებში ერეკლეს უნდობლობა საერთოდ და, კერძოდ ლაიოშ ქაარდის რომანში, აბსოლუტურად გამართლებულია. არის ერთი ნიუანსი, რომელსაც ავტორი იყენებს, ჩემი აზრით, შინაარსის გასამძაფრებლად და რაც, ვიმეორებ — ჩემი აზრით, რამდენადმე ჩრდილს აყენებს ერეკლეს სიბრძნეს, ისტორიულად რომ არის გამართლებული და უცილობელ ჭეშმარიტებად აღიარებული.

...რაინეგსი ერეკლეს სამეფო კარზეა და თავისი ღრმა ცოდნით სურს დიდი დახმარება აღმოუჩინოს ქართლ-კახეთის სამეფოს — რკინის მადნის ამოღება-დამუშავების საქმის აღდგენით ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიურ-მატერიალურ და, რაც მთავარია, სამხედრო ძლიერების აღორძინება-განმტკიცებას. ეს რასაკვირველია, ხელს არ აძლევდა მის მოქიშპე სახელმწიფოებს, ამიტომაც ერთი მათგანის მსტოვარი, დარბაზის — საქართველოს სამეფო საბჭოს — წევრი, სამეფო მაღაროების უფროსი თავადი მარკოზაშვილი ხელოვნურად თითხნის რაინეგსის საწინააღმდეგო საბუთებს, მეფეს აეჭვებს და კეთილ კაცს ლამის აჭერინებს კიდეც, მაგრამ ერეკლეს ერთგულთა დახმარებით, განსაკუთრებით კი მეფის ასულის ქეთევანის გამჭრიახობით, ქეთევანისა, რომელთანაც ავტორი თავის გმირს კეთილშობილური, პლატონიური „შორით დაგვით“ აკავშირებს, ერეკლე საბედისწერო შეცდომას არ დაუშვებს და ბოლოსა და ბოლოს რაინეგსის პატიოსნებას იწამებს. რაინეგსისადმი მეფის გაორებული დამოკიდებულება, ქეთევანის ბრძნული ალღო და შორსმჭვრეტელობა, ერეკლეს გულუბრყვილო მინდობლობა მოღალატე მარკოზაშვილისადმი, ვიმეორებ, შესაძლოა რამდენადმე ამძაფრებდეს კიდეც რომანს, მაგრამ ისტორიულ სინამდვილეს სცილდება და ამდენად ჩრდილს აყენებს დაქუცმაცებული საქართველოს გამაერთიანებელ ბრძენ პოლიტიკოსსა და აღიარებულ სარდალს ერეკლეს.

მაგალითისათვის ავიღოთ ჯერ კიდევ ბავშვის — მეფის ასულის ქეთევანის საუბარი ერეკლესთან.

„— ძვირფასო მამავ, მე ძლიერ მეშინია მაგისა (იგულისხმება შემდგომ მოღალატედ გამომჟღავნებული თავადი მარკოზაშვილი — გ. კ.)... ერთხელ, როცა გიორგი (უფლისწული — გ. კ.) ჯერ კიდევ ჯანმრთელი იყო, უნებურად შევესწარი მათ საუბარს. გიორგი აღტაცებით ეუბნებოდა, ჩვენი მაღაროები ამუშავდა, ეს დაგვეხმარება მუდმივი ლაშქრის შექმნაშიო — უხაროდა, რომ თქვენთან ერთად უხელმძღვანელებდა ლაშქარს. მარკოზაშვილმა ირონიული ღიმილით (კურსივი ჩემია — გ. კ.) უპასუხა, არც მე დავშოგავ თავს მეფის და ხალხის სამსახურისთვისო.

— მართლა?! მართლა თქვა ჩემმა ძვირფასმა ქვეშევრდომმა? ამ მიხრწნილი, გაძვალტყავებული მოხუცის ერთგულებაში ეჭვი არ მეპარება. ის თუმცა ყველაფერს ახალს ებრძვის, მაგრამ მაინც ჩვენი ტახტის ერთგული ქვეშევრდომია. მაგისი ნუ გეშინია, შვილო“, — ამშვიდებს მეფე თავის ასულს. მაშინ, როცა გაცილებით ადრე ანტონ კათალიკოსიც ორაზროვნად შენიშნავს იმავე მარკოზაშვილის მიმართ.

„— მართალაც, ერთგული ყოფილხარ, თავადო, რახანაც მუშაობ და ერთი გრამი ოქრო არ ამოგიღია მიწიდან, — ალმაცერად (კურსივი ჩემია — გ. კ.) გადახედა ანტონმა“, ეს გაკვირვება კი იმას ნიშნავს, რომ მარკოზაშვილი მეფისაგან იღებდა გასამრჯელოს, მუშახელს, სამაგიეროდ ხაზინას არაფერს აძლევდა, ე. ი. ძარცვავდა, მეფე კი ამას ვერაფერს ხედავს და მოღალატე თავადს „ტახტის ერთგულად“ სახავს.

მარკოზაშვილი ყალბ დოკუმენტს შეაჩერებს ხელში ერეკლეს, რომელიც მას კითხულობს. ამასობაში ქეთევანი მამის ნებართვით საფრიდან უთვალთვალებს მარკოზაშვილს და დარბაზიდან მისი გასვლის შემდეგ მამას მივარდება: „— მამავ, ძვირფასო მამავ, სანამ წერილს კითხულობდით, მაგ კაცისთვის თვალი არ მომიშორებია. მარკოზაშვილს ვეზიზღებით, ჩვენი მტერია!

— ნამდვილი ბავშვი ხარ, შვილო! სიცხადის წინაშე თვით მეფეებმაც უნდა დახრონ თავი, რაინეგსი მწარედ აგებს პასუხს თავის დანაშაულზე“. გულუბრყვილოდ მოუჭრის მსტოვრის მიერ მოტყუებული მეფე გამჭრიახსა და შორსმჭვრეტელ ბავშვს, თან ყალბ წერილს გადასცემს ასულს, რომელიც წაკითხვისთანავე დაასკვნის:

„— მამა, ეს წერილი თავიდან ბოლომდე ყალბია!“...

„— ბავშვურად მსჯელობ, როგორც მე და ჩემი მრჩევლები, შენც ისევე შეცდი. ვერ გავიგეთ, რაინეგსი რა კაცია“.

ყოველივე ამის შემდეგ ერეკლე მარკოზაშვილს ეუბნება: „— თავადო მარკოზაშვილო, დიდი სამსახური გამიწია, მეც და საქართველოსაც. რაინეგსის ჩამოყვანა ვბრძანე, სასტიკად დავსჯი ჩადენილი ცოდვებისათვის. მაგრამ მარტო კარაჯი ეფენდის ბარათი საკმარისი არ არის, შენ ალბათ იცნობ ნუტარსენებულ ვასტანგ მეფის „კანონთა კრებულს“. დამნაშავედ რომ სცნონ, ბრალდებულს ორი უშუალო ან ოთხი გარეშე მოწმე უნდა ჰყავდეს. შეგიძლია კარაჯისაგან კიდევ აიღო ჩვენება?“

შეკითხვა აშკარად გულუბრყვილოა, ამიტომ მოვლენათა განვითარების მიხედვით ერეკლე მეტად პრიმიტივად არის გამოყვანილი, რაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სინამდვილეს ეწინააღმდეგება.

„— მე, მგონი, თქვენო უდიდებულესობავ, შეუძლებელი არაფერია“. — ორაზროვნად პასუხობს გაკადნიერებული მარკოზაშვილი, მეფე კი მას თავის მოტყუების საშუალებას აძლევს გულუბრყვილობამდე მისული წინდაუხედავი მოთხოვნით, რაც თავიდანვე გამორიცხავს სიმართლის დადგენას და ჭეშმარიტი დამნაშავის გამოვლინებას:

„— კარაჯიმ პირდაპირ მე გამომიგზავნოს ბარათი. რაინეგსმა კი თვითონ აღიაროს თავისი საშინელი დანაშაული.

— ჩემო მეფეო, აღსრულდება თქვენი ბრძანება“. — პასუხობს მეფის გულუბრყვილობით გათამამებული მარკოზაშვილი.

ძვირფასო ბატონო ლაიოშ ქაარდ — მოგეხსენებათ, რომ არათუ ბრძენი მეფე, დაბალი დონის რიგითი გამომძიებელიც კი არ მოითხოვდა ესოდენ მარტივ მტკიცებებს ისეთი ღირსეული და ქვეყნისათვის საჭირო კაცის გამამტყუნებლად, როგორიც რაინეგსი იყო ერეკლეს კარზე. მით უმეტეს, სრულიად დაუჯერებელია ერეკლესეული ის გულუბრყვილობა, რასაც საქართველოს სასიქადულო წინაპარი იჩენს ჩვენთვის და თქვენთვის ძვირფასი რაინეგსის საკითხში. ერთი სიტყვით, ერეკლესა და რაინეგსის ურთიერთობას თქვენს კარგ რომანში, ჩემი აზრით, საფუძვლიანი დამუშავება სჭირდება და იმედია, თქვენი შორსმჭვრეტელობის, შრომისმოყვარეობისა და ტალანტის მეშვეობით, განსაკუთრებით კი ქართველთა სიყვარულით და პატივისცემით აღსავსე თქვენი მართალი გრძნობებით კიდევ ერთხელ გადახედავთ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის თქვენეულ პორტრეტს, არ დაიკლებთ მწერლისეულ მადლიან მზრუნველობას, რასაც ერთიანად გიზღავენ ჩვენი მკითხველები და თქვენი მარად პატივისმცემელი ქართველი კოლეგები.

ჩვენი ქვეყნის სასიქადულო შვილი ერეკლე მეორე საქართველოს ბედნიერი ხანის უპირველესი მეკვლეა და მის პორტრეტზე გაწეული შრომა ქართველთა სიყვარულის წისქვილზე მადლიანი წყლის მიგდებას ნიშნავს, რაზეც, იმედია, არ დაგვზარდებით.

მეორე გამოცემისათვის, ალბათ, არც რომანის ქართულად მთარგმნელები დაიშურებენ თავიანთ შრომას იმ ხარვეზების გამოსასწორებლად, რაც, სამწუხაროდ, არც ისე იშვიათია საინტერესო რომანის ქართულ თარგმანში.

გივი კარგელაშვილი.

წ ი ნ ა პ ა რ თ ა პ ა ტ ი ვ ი ს ც ე მ ა



კ ე თ ი ლ ი ძ მ ა

შემოდგომა იყო. პაპა თედო ბაღში მწიფე მსხალს კრეფდა. დაინახა ბაღთან მიმავალი სანდრო. პაპა თედომ სანდროს დაუძახა და ერთი დიდი მსხალი მისცა. სანდროს უნდოდა ჩაეკბიჩა, მაგრამ უცებ მოაგონდა, რომ შინ ავადმყოფი და ჰყავდა და შინისაკენ გაკურცხლა.

— დედიკო, ქეთოს მსხალი ხომ ეჭმება? — ჰკითხა სანდრომ დედას.

— როგორ არა, შვილო, — უთხრა დედამ.

სანდრო იმავე წამს თავისი დის ლოგინთან გაჩნდა და მსხალი მისცა. სანდრო სიამოვნებით უცქეროდა, როცა ავადმყოფი პირს იტკბარუნებდა გემრიელი მსხლით.

ო რ ი ს ა ხ ნ ი ს ი

ერთ სამჰედლოდგან ორი ერთნაირი სახნისი გამოვიდა. ერთი სულ ხვნაში იყო, მეორე კუთხეში ეგდო. კაი ხნის შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ. ერთსა ლაპლაპი გაჰქონდა, მეორე ჟანგით იყო შეჭმული. ჟანგიანმა ჰკითხა: — აგრე რამ გაგამშვენიერაო?

— შრომამაო, — მიუგო ლაპლაპამ.

ბ ა ტ ი

ბატი წყალში დაცურავდა და თავის თავს ელაპარაკებოდა: მე სწორედ საკვირველი ფრინველი ვარო, — მიწაზედაც დავდივარ, ჰაერშიაც ვფრინავ და წყალშიაც დავცურავო. გაიგონა წერომ და უთხრა: შე საწყალო, არც სიარული გივარგა, არც ფრენა იცი ხეირიანი და არც ცურვაო. ისევ ისა სჯობდა ერთი რამე გცოდნოდა კარგადო, მანამ ბევრი რამე ცუდათო.

ანდაზა: უჭკუა ადამიანს ცოტა გაუკვირდებაო.

ქ ო რ ი დ ა ი ხ ვ ი

ერთმა ქორმა იხვი დაიჭირა და შეჭმას უპირებდა. ამ დროს ზევიდან მონადირისაგან შეშინებულმა კაკაბმა ახლოს ჩაუქროლა.

ქორი წაეტანა: ამასაც დავიჭერო. იხვმა იდროვა, ქორს კლანჭებიდან გაუსხლტდა და თავს უშველა.

ქორმა ვერც კაკაბი დაიჭირა და იხვიც დაკარგა.



გ ე გ ე რ ი დ ა ქ ა თ ა მ ი

იყო ერთი ბებერი — ჰყვანდა ერთი ქათამი. ყოველ დღეს თითო კვერცხს უდებდა, მაგრამ ბებერი ცოტაობდა. იმას უნდოდა ქათამს დღეში ორი, სამი კვერცხი დაედო. ეგონა მომეტებული საჭმელი უფრო ბევრს დაადებინებსო. დაუწყო ბევრი საკენკის ძლევა. მაგრამ ქათამი მეტად გასუქდა და ერთი კვერცხიც აღარ დაუდო.

ანდაზა: ბევრის მდომი ცოტასაც დაკარგავსო.

გ ა ა მ ო ც ა ნ ე გ ი

- თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესველს ეუბნება. (წიგნი).
- ტყეში ხარი შემოვარდა, გამო, გამო, გიშერაო! ნაბდის შველა იქ დააგდო, გამოვარდა შიშველაო. (წაბლი).
- გარეთ — ატლასი, შიგნით — ათასი. (ბროწეული).

იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენიდან“.

იური ქლიბაძის ნახატები.

ჭ კ ვ ი ა ნ ი ძ ა ღ ლ ი

ერთს სახლში ცხოვრობდა ცუგა ძაღლი. მეტად გონიერი ოთხფეხი იყო, იცოდა, რომ ღამით სახლისათვის უნდა ეყარაულნა და ამიტომ დღისით ბევრი ეძინა. ღამით კი მეტად ფრთხილი და ფხიზელი იყო. ისიც შემჩნეული ჰქონდა, რომ რბილი საჭმელი უსუსტებდა და უჩლუნგებდა კბილებს და ამიტომ ძვლებს ხშირად ხრავდა, ამით იმაგრებდა თავის კბილებსა. ავად რომ გახდებოდა, მოძოვილი ბალახით გულს ირევდა, არწყევდა და ამით თავს მოირჩენდა ხოლმე. თუ სალამოზე ძროხები თვითონ არ მოვიდოდნენ, წავიდოდა, იპოვნიდა, ჰკბენდა უკანა ფეხებში და მიერეკებოდა შინისაკენ, ძოძუებში და გვერდებში კი კბილების წვალებას ძლიერ ერიდებოდა, ეტყობოდა, კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ამ ადგილებში კბენა ძროხებისათვის მავნებელია.

ერთხელ ამ ძაღლის პატრონს მარანში შესვლა მოუნდა, იქ ერბო ჰქონდა შენახული და უნდა ამოეტანა სახმარებლად. ამას უკან შეჰყვა ჩვენი ცუგა ძაღლი. სახლის პატრონმა აიღო ერბო და გამოსწია გარეთ. როცა გამოვიდა, მარნის კარები საჩქაროდ გამოიხურა. ამ დროს შემოესმა საშინელი ყვირილი. ყვიროდა ცუგა, რომელიც პატრონს ვერ შეემჩნია და წინა ფეხი კარებში მოჰყოლოდა. კარები მძიმე იყო და ამიტომ ცუგას ფეხი ძალიან დაშავებოდა. სახლის პატრონს ძლიერ ეცოდებოდა ძაღლი და ნაწობდა, რატომ ვერ დავინახე და რად დავუშავე ფეხიო. იმან კარგად გაუსინჯა ძაღლს ფეხი, აიყვანა ხელში, შეიყვანა შინა და დაუწყო წამლობა: დაადნატკენ ფეხზე მალამო და ჩვრით მაგრად შეუკრა. ცუგას ფეხი მალე მოურჩა და წინანდებურად დაიწყო ხტუნაობა და თამაშობა.

ერთხელ სახლის პატრონი იჯდა მოხურულ ოთახში და საქმეს აკეთებდა. უცებ რაღაცამ დაუწყო გარედან კარებს ფხაკუნი. გააღო სახლის პატრონმა კარები და თავის ცუგა კი დახვდა, მაგრამ მარტო არ იყო; ცუგასთან დაინახა ერთი კოკლი ძაღლი, რომელიც, როგორც ყველაფერში ეტყობოდა, ცუგას მოეყვანა თავის პატრონთან, ესეც ჩემსავით მოარჩინეო. პატრონი მიუხვდა გონიერ ცუგას გულის წადილსა, უწამლა მის მეგობარსაც და მალე ისიც მოარჩინა.

(დასასრული)

დ ი დ ი მ ო ძ ღ ვ ა რ ი

ჩვენი ხალხის სულისკვეთების, მისი იდეალების, სიხარულისა თუ ჭირ-ვარამის და დედაენის ძირებისა და ფესვების ღრმა ცოდნა საარაკო გულთამხილაობით გამოვლინდა იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილ ჭეშმარიტად პატრიოტულ ძეგლში, უკვდავ „დედა-ენაში“. ეს წიგნი წარმოადგენს დედაენის შესახებ გოგებაშვილის ჰარმონიული მოძღვრების ხელთუქმნელ გვირგვინს. ამ წიგნის მიხედვით ძნელი არ არის აღადგინოთ ის თეორიული ქარგა, რომელშიც გოგებაშვილმა ჩააქსოვა თავისი ბრწყინვალე აზრები დედაენის შესახებ, როგორც ხალხის ღონისა და ძალაზე.

„დედა-ენის“ ძალა პირველ ყოვლისა მისი უშუალობა და ბუნებრიობაა. მასში მოცემული საგანმანათლებლო მასალა უებრო ოსტატობით არის შეხამებული ხალხის გენიის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილსა და შემონახულ სიბრძნესთან, მის სანუკვარ ოცნებებთან და მომავლის უჭკნობ იმედებთან, რაც მრავალფეროვან ნაკადად ვლინდება ხალხურ მოთხრობებში, ლეგენდებში, ზღაპრებში, თქმულებებში, იგავ-არაკებში, ანდაზებში. მშობლიური გარემო, მთა და ბარი, გიშმაჟი ნაკადულები და ცისფერი, მოკამკამე მდინარეები, თვალწარმტაცი და ნოყიერი ველები, ბაღ-ვენახები, ზვრები და ხოდაბუნები, ქოხორა ქათამი, ნიშა და ნიკორა, ლარად გაჭიმული გუთნეული არის წიგნის ფონი; ადამიანები კი — ჭკვიანი გუთნის დედა, მებადურის ამაყი ვაჟი, პატარა მოსწავლე ბიჭუნა ვანო, რომელიც ყოველდღე ეკითხება მერცხლებს, დედაჩემი თუ გინახავთო, ტკბილი დედა, რომელიც ჭრელ-ჭრელ წინდებსა ქსოვს ვანოსათვის გასაგზავნად — დედაენის ძალა და ღონეა.

ყოველივე ამას გოგებაშვილის პედაგოგიური გენია შესანიშნავი ოსტატობით უხამებს სკოლის, როგორც განათლების კერის, შემეცნებითსა და აღმზრდელობით ამოცანებს. „დედა-ენას“ თანდათანობით, თითქოს შეუმჩნევლად შეჰყავს ბავშვი სასკოლო სწავლების მწყობრ გარემოცვაში, უვითარებს დაკვირვების უნარს, უფართოებს გონებრივ ჰორიზონტს, ამდიდრებს მის გამოცდილებას და, რაც მთავარია, სვეწს, აკეთილშობილებს, ამაღლებს მის ზნეობას. გოგებაშვილი „დედა-ენით“ დედაენის ნაჭუჭში როდი კეტავდა ბავშვებს: ადგილობრივი გარემოს შესწავლა დედაენის მეშვეობით მას მოზარდთა ყოველგვარი შემდგომი განათლების აუცილებელ გზად და ხიდად მიაჩნდა, ხოლო მეცნიერების კაცობრიული მიღწევების დაუფლება და შეთვისება — ამ საქმიანობის ბუნებრივ გაგრძელებად. ამის მკაფიო გამოხატულებაა მისივე სახელმოხვეჭილი სახელმძღვანელო „ბუნების კარი“, რომელშიც მახლობლიდან — მშობლიურიდან გადასვლა შორეულზე — კაცობრიულზე დიდი პედაგოგიური ტაქტითა და დიდაქტიკური ხელოვნებით არის ხორცშესხმული.

ქართულ სახალხო სკოლაშიც გოგებაშვილი რუსულ ენას ერთ-ერთ ძირითად საგნად თვლიდა. გოგებაშვილი სავსებით კანონზომიერად მიიჩნევდა ჩვენი ხალხის მისწრაფებას რუსული ენისა და რუსული კულტურის საფუძვლიანად შესწავლისადმი: „რუსული ენის შესწავლა დიდი სიკეთეა ყოველი კავკასიელისათვის, ვინაიდან აძლევს მათ შესაძლებლობას გახდნენ დიდი სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქენი, ეზიარონ მდიდარ რუსულ ლიტერატურას, და როგორც საკუთარ სახლში, ისე გრძნობდნენ თავს უზარმაზარ სამფლობელოში, რომელსაც უჭირავს მთელი დედამიწის ზურგის ერთი მეექვსედი ნაწილი“. რუსული ენის პირველდაწყებითი სწავლების ამოსავლად ქართულ სკოლებში გოგებაშვილი თვლიდა რუსული ზეპირი და წერითი მეტყველების შესწავლას დედაენასთან ცნობიერი შეპირისპირების საფუძველზე, მშობლიური გარემოს საგნებისა და მოვლენების თვალსაჩინოდ მომარჯვების საფუძველზე. თუ რამდენად დიდ წარმატებას მიაღწია მან ამ პრინციპების უნარიანად გამოყენების შედეგად, ეს იქიდან ჩანს, რომ მისი „რუსკოე სლოვო“ მრავალი გამოცდილი ქართველი და არაქართველი, პრაქტიკოსი თუ სწავლული პედაგოგის მიერ აღიარებული იყო საუკეთესო სახელმძღვანელოდ. ის ფაქტი, რომ ქართველი ბავშვები დღესაც, დაახლოებით ასი წლის შემდეგაც, დედაენას (I-II) კლასებში) და რუსულ ენას (II-III კლასებში) იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენისა“ და „რუსკოე სლოვოს“ მიხედვით შედგენილი სახელმძღვანელოებით სწავლობენ, მჭევრმეტყველურად ადასტურებს ამ წიგნების ძალას, მაღალხარისხოვნებას. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ამგვარი გამძლეობის მაგალითები ახალი ხანის მსოფლიო სკოლის ისტორიამ არ იცის.

იაკობ გოგებაშვილი ძლიერი ინტელექტისა და მტკიცე რწმენის მქონე მოღვაწე პიროვნება იყო. ენციკლოპედიური განსწავლულობით, მიზნის სიცხადითა და ნებისყოფის სიმტკიცით იგი გახლდათ ნამდვილი სამოციანელი. იაკობმა იცოდა, რისთვის იბრძოდა.

საბჭოთა სკოლის ისტორიამ პრაქტიკულად დაადასტურა, თუ რამდენად სიცოცხლისუნარიანი და ქმედითი იყო და არის გოგებაშვილის მოძღვრება დედაენაზე; ჩვენმა სკოლამ ამ მოძღვრების სული და დედააზრი სწორად გაიგო, მიიღო და უნარიანად შეუხამა მის წინაშე დასახულ მიზნებსა და ამოცანებს, ხოლო საბჭოთა ხალხმა დიდების გვირგვინით შემოსა გოგებაშვილი, დიდი ილიასა და აკაკის გვერდით დაუმკვიდრა მას საპატიო ადგილი.

როგორც პედაგოგი და დიდაქტიკოსი, იაკობ გოგებაშვილი პოტენციურად თავისი ქვეყნის ფარგლებს გასცდა. მან დედაენისა და მშობლიური სკოლის პრობლემას ვიწრო საგანმანათლებლო ჩარჩოები ჩამოხსნა და იგი საზოგადოებრივი აზროვნების ცენტრში მოაქცია, მან სიცოცხლეშივე სავსებით დაიმსახურა ის, რომ მისი სახელი და საქმეები ისეთივე პატივისცემით იხსენიებოდეს მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიაში, როგორც კომენსკის, რუსოსი, პესტალოცის, უშინსკის, დისტერვეგისა და სხვათა.

ჩვენში იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი ჯეროვნად არის დაფასებული. მისი სახელი გასცდა საქართველოს ფარგლებს. იაკობ გოგებაშვილის რჩეული თხზულებანი თარგმნილია რუსულ და უკრაინულ ენებზე, ხოლო მისი საბავშვო მოთხრობები გადათარგმნილი და გამოცემულია რუსულ, უკრაინულ და ინგლისურ ენებზე. გოგებაშვილის სახელს ატარებს საბჭოთა პედაგოგიკის ერთერთი უძველესი სამეცნიერო კერა — თბილისის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელმაც განახორციელა იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა დიდი ათტომიანი კრებულის გამოცემა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით გოგებაშვილის დაბადების 120 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით დაწესდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის მედალი, რომლითაც ჯილდოვდებიან სახალხო განათლების ღვაწლმოსილი პედაგოგები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ნიჭიერი და ბეჯითი სტუდენტებისათვის დაწესებულია გოგებაშვილის სახელობის სტიპენდია. სისტემატურად იცემა და უდიდესი სიყვარულით სარგებლობს არა მარტო ბავშვთა, არამედ მოზრდილთა შორისაც იაკობის საყმაწვილო მოთხრობები. იაკობის მშობლიურ სოფელ ვარიანში არსებობს იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმი.

შარშან დაწესდა, რომ მასწავლებლის დღე, რაც ჩვენში ფართოდ აღინიშნება ყოველი წლის ოქტომბრის თვის პირველ კვირას, დამთხვეს დიდი მოაზროვნის სასიქადულო მოქალაქისა და მამულიშვილის, ხალხის დიდი მასწავლებლისა და მოძღვრის იაკობის დაბადების წლისთავს.

ყოველივე ეს სამარადისო ძეგლია ხალხის ინტერესებისათვის გულითადად დამაშვრალი დიდი იაკობის უკვდავსაყოფად.

პროფესორი
უშანგი ოგოლაძე,
საქართველოს განათლების მინისტრის პირველი მოადგილე

ისმინე, სწავლის

ქართული მედიცინის კერა

სალომე და გედევან გელბახიანები მამაპაპურად ეჭიდებოდნენ მიწას — რვა ქალიშვილს შენახვა უნდოდა, ნანატრი გვარის გამგრძელებელი კი 1911 წელს შეეძინათ; პეტრე დაარქვეს.

ჭიათურის რაიონის სოფელ თაბაგრებში შეაღო სკოლის კარი პეტრე გელბახიანმა. წამოიზარდა და მშობლებს შეეშველა — ჭიათურის მანგანუმის ქარხანა-მაღაროში მუშაობდა.


საშუალო დაამთავრა და მასწავლებლობდა. მერე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკო-ქიმიური ფაკულტეტი დაამთავრა.

1946 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობა დაიწყო დოცენტად ჯერ ფარმაცევტულ ინსტიტუტში, 1947 წლიდან კი — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტშია, სადაც მალე კათედრის გამგედ აირჩიეს.

1955 წელს დაიცვა ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი და პროფესორი გახდა. 1961 წელს ივნისში აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. მის კალამს ეკუთვნის 60-მდე მეცნიერული ნაშრომი.

პეტრე გელბახიანი არის საქართველოს სსრ მეექვსე, მეშვიდე და მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე. დაჯილდოებულია „ლენინის ორდენით“, „ოქტომბრის რევოლუციის ორდენით“, „შრომის წითელი დროშის ორდენითა“ და მედლებით. 1959 წლიდან ხელმძღვანელობს შრომის წითელდროშოვან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტს.

18 ივნისი მედიცინის მუშაკთა დღეა — ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა ჯემალ ქურხულმა რამდენიმე კითხვით მიმართა პროფესორ პეტრე გელბახიანს.



პეტრე გელბახიანი სტუდენტებთან

● ბატონო პეტრე, რას გვეტყვით ქართული მედიცინის ისტორიაზე?

XI-XII საუკუნეებში საქართველოში არსდება უმაღლესი განათლების კერები. ამ საქმის ერთ-ერთი წამომწყები იყო დავით აღმაშენებელი, რომელმაც შექმნა გელათის აკადემია. ფიქრობენ, რომ ბიზანტიის აკადემიების მსგავსად გელათის აკადემიაში მედიცინაც ისწავლებოდა.

● სად მიიღეს განათლება მეცხრამეტე საუკუნის ცნობილმა ქართველმა მკურნალებმა, ვის გამოარჩევდით მათგან?

გასული საუკუნის პირველ ნახევარში ქართველთაგან რუსეთსა და უცხოეთში უმაღლესი სამედიცინო განათლება მიღებული ჰქონდა 10 კაცს: ილია გრუზინოვი, სტეფანე შარიმანაშვილი, პეტრე კლაპიტონიშვილი, გიორგი დავრიშვილი, სარდიონ ალექსი-მესხიშვილი, ზაქარია ზუბალაშვილი, მიხეილ ჩიგიანი, სტეფანე ბასტამაშვილი, გრიგოლ შაბურაშვილი, იოსებ საყაშვილი. მეცხრამეტე საუკუნის მიწურულში მათმა რიცხვმა 100-ს მიაღწია.

მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის ოციანი წლების ბევრი ექიმი ქართველ საზოგადო მოღვაწეთა იმ ბრწყინვალე პლეადას მიეკუთვნება, რომელიც მისაბაძი უანგარობითა და გმირული შეუპოვრობით ემსახურებოდა ერის კეთილდღეობის საქმეს.

თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის მოწოდებით რუსეთიდან სხვა დარგის მეცნიერებთან ერთად საქართველოს მოაშურეს მედიკოსებმაც: ალექსანდრე ალადაშვილმა, სიმონ ამირეჯიბმა, მიხეილ ასათიანმა, სიმონ გოგიტიძემ, გიორგი ელიავამ, ნიკოლოზ კახიანმა, ვარლამ მოსეშვილმა, ალექსანდრე ნათიშვილმა, იოვენ ჭუთათელაძემ, გიორგი ღამბარაშვილმა და სხვებმა.

მათ თბილისში დახვდნენ ქართველი მეცნიერი-ექიმები: სპირიდონ ვირსალაძე, ივანე თიკანაძე, გრიგოლ მუხაძე, ალექსანდრე მაჭავარიანი, კონსტანტინე ერისთავი და სხვები.

● როდის და როგორ აღმოცენდა ქართული სამედიცინო ინსტიტუტი?

თბილისის უნივერსიტეტში თავდაპირველად გაიხსნა სიბრძნისმეტყველების (ფილოსოფიის) ფაკულტეტი სამი ძირითადი განყოფილებით: ჰუმანიტარულით, სამათემატიკოთი და საბუნებისმეტყველოთი, უნივერსიტეტის ამაგდრებს — ივანე ჯავახიშვილს, პეტრე მელიქიშვილსა და სხვებს თავიდანვე განზრახული ჰქონდათ სამედიცინო ფაკულტეტის დაარსებაც.

მართლაც, 1918 წლის სექტემბერში უნივერსიტეტში გაიხსნა საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამედიცინო ფაკულტეტი, რომლის ორგანიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვით სპირიდონ ვირსალაძეს, გრიგოლ მუხაძეს, ივანე თიკანაძეს, ალექსანდრე ნათიშვილს, ალექსანდრე ალადაშვილს, სიმონ ამირეჯიბსა და სხვებს. საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო და სამედიცინო ფაკულტეტის დეკანი იყო პეტრე მელიქიშვილი.

1930 წლის სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი.

დღევანდელი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტრუქტურაა: სამკურნალო ფაკულტეტი ორი სექტორით, პედიატრიული, სანიტარულ-ჰიგიენური, სტომატოლოგიური და ფარმაცევტული ფაკულტეტები. ინსტიტუტში დღეისათვის სწავლობს 3.600-მდე სტუდენტი; აქ 60 კათედრაა და სამი დამოუკიდებელი კურსი; აქედან 42 კათედრა საინსტიტუტოა, დანარჩენები კი სპეციალური და ემსახურებიან მხოლოდ ამა თუ იმ ფაკულტეტს ან ფაკულტეტებს.

სამედიცინო ინსტიტუტში ასწავლის და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა 104 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (მათ შორის 84 პროფესორი), 188 მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი (მათ შორის 87 დოცენტი), 30 უფროსი მასწავლებელი, 24 მასწავლებელი, 204 ასისტენტი. პედაგოგიური პერსონალიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია 6, წევრ-კორესპონდენტი — 4, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება აქვს 48 სპეციალისტს, გვყავს სოციალისტური შრომის გმირი — კონსტანტინე ერისთავი.

● რამდენი ექიმი აღიზარდა სამედიცინო ინსტიტუტში დღემდე?

არსებობის მანძილზე, 1971 წლის ჩათვლით, ჩვენმა ინსტიტუტმა მოამზადა 22.000-ზე მეტი ექიმი, მათ შორის პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალი და მეცნიერ-მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრი, რომელთა შორის არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრები: ავლიპ ზურაბაშვილი და ირაკლი ტატიშვილი, გიორგი ზედგენიძე და ეგნატე ფიფია, მამია კომახიძე და დიმიტრი გედევანიშვილი, ალექსანდრე ბაკურაძე და ნინო ჯავახიშვილი, სერგო ნარიკაშვილი და ირაკლი ფაღავა, ვაჟა ოკუჯავა და გიორგი მარუაშვილი, სიმონ ხუჩინაშვილი და კონსტანტინე ჩაჩავა, ოთარ ანჯაფარიძე და მიხეილ ხახანაშვილი.

● როგორ ზრუნავს სახელმწიფო მკურნალთა აღზრდისათვის?

საექიმო კადრების აღზრდას დიდ ყურადღებას აქცევს სახელმწიფო. დღეითიდღე უმჯობესდება ჩვენი ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ეხლახან ექსპლოატაციისათვის გადმოგვეცა ახალი სასწავლო კორპუსი. თეორიულ დისციპლინებში გვაქვს კეთილმოწყობილი ლაბორატორია-კაბინეტები, კათედრებისათვის შესანიშნავი ბაზა — 12000-საწოლიანი საავადმყოფო საბურთალოზე; დამთავრდა სამედიცინო ინსტიტუტის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის შვიდსართულიანი შენობის კარკასის მშენებლობა, გვაქვს კარგად მოწყობილი სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი; ახლო მომავალში დამატებით დაიწყება სტუდენტთა საცხოვრებლის ახალი კორპუსის მშენებლობა.

სტუდენტთა ნახევარზე მეტი უზრუნველყოფილი არიან სტიპენდიით.

● თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის ლევან საღარაძის ქალიშვილი. როგორი სტუდენტია ანა?

ლევან საღარაძეს შვილები სამშობლოს პატრიოტებად აღუზრდია. ისინი ანგარიშს უწევენ მამის სურვილს — საქართველოში უნდა ისწავლოთ და იცხოვროთო. ანას თავდაპირველად ცოტა უჭირდა — კოლეჯი უცხოეთში დაამთავრა, მშობლიურ ენას სრულყოფილად ვერ ფლობდა, მაგრამ მისივე შეცადინეობით და პედაგოგების მზრუნველობით მდგომარეობა გაბოსწორდა. დღეს ანა საღარაძე სამკურნალო ფაკულტეტის მესამე კურსის კარგი სტუდენტია და იმედია, მისგან სასახელო მკურნალი დადგება.

● სად მუშაობენ ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი?

ჩვენი კურსდამთავრებული ექიმები მუშაობენ ძირითადად საქართველოში. ექიმთა ნაწილი კი საქართველოს ფარგლებს გარეთაც გადის, სხვა მოძმე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთაც. ბევრი ჩვენი კურსდამთავრებული თანამემამულე დახმარებას უწევს კოლონიალიზმის უღლისაგან ახლად განთავისუფლებული ქვეყნების — ალჟირის, მალისა და სხვა რესპუბლიკების მოსახლეობას.

● როგორ გესახებათ თქვენი ინსტიტუტის ადგილი საბჭოთა კავშირის სამედიცინო ინსტიტუტებს შორის?

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სამედიცინო სასწავლებლის მთავარი სამმართველოს ერთ-ერთ სადირექტივო წერილში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი მოხსენებულია ჩვენი ქვეყნის იმ შვიდ საუკეთესო სამედიცინო ინსტიტუტთა შორის, რომელთა კადრები დაკომპლექტებულია დიდი ავტორიტეტის მქონე მაღალკვალიფიციური მეცნიერებით.

მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანია სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის ასპექტი. ძირითადი ძალები მიმართულია გულსისხლძარღვთა სისტემის, სუნთქვის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის, ავთვისებიანი სიმსივნეებისა და გერონტოლოგიის პრობლემათა შესასწავლად.

გამოქვეყნებულია ათასობით მეცნიერული ნაშრომი და მონოგრაფია, რომელთაგან ბევრმა აღიარება პოვა პრაქტიკულ მედიცინაში. მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ინსტიტუტში შექმნილია ორიგინალური კონსტრუქციის ექვსი აპარატი, ახალი სამკურნალო პრეპარატი, რაც ექსპონირებული იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე და რომელთა ნაწილმა პირველი და მეორე ხარისხის დიპლომები დაიმსახურა.

● რას უსურვებდით ჩვენს თანამემამულეებს?

არასოდეს დასჭირებოდეთ ექიმი, ე. ი. ჯანმრთელობა, შვილები აღეზარდოთ სამშობლოს პატრიოტებად — ესწავლებინოთ მშობლიური ქართული და ყველაფერი ეღონოთ, რომ მათ სისხლ-ხორცს არ დაკარგოდეს ის, რაც თვითონ დაჰკარგეს დროებით თუ სამუდამოდ.

მ ძ ე ბ ნ ე ლ ო !

საქართველოს ჰიდროენერგეტიკა უცხოურ პრესაში

შვეიცარიის ერთ-ერთმა უძველესმა ჟურნალმა „ვასერ უნდ ენერჟივირტშაფტმა“ („წყალი და ენერგია“), რომელიც მსოფლიოს ტექნიკურ მეცნიერებას აცნობს სხვადასხვა ქვეყნის მიღწევებს წყალთა მეურნეობისა და ჰიდრო ენერგეტიკის დარგში, ფართოდ აშუქებს სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხებს, წლევანდელ მესამე ნომერში გამოაქვეყნა საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორის ლევან გველესიანის ვრცელი სტატია — „საქართველოს ჰიდროენერგეტიკა და ენგურის უმაღლესი თაღოვან-კაშხალიანი ჰიდროელექტროსადგური“. სტატია პირველია, საზღვარგარეთის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებას დეტალურად რომ აცნობს საქართველოს ჰიდროენერგეტიკის მიღწევებს.

საქართველოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების სიმდიდრე, მისი „თეთრი ნახშირის“ სიუხვე კარგად არის ცნობილი, მაგრამ სტატიაში, ყოველივე ამის დაწვრილებით დახასიათებასთან ერთად, ნაჩვენებია ამ რესურსების განსაკუთრებით მაღალი, ეგრეთ წოდებული ხვედრითი მაჩვენებლები — ელექტროენერგიის გამომუშავების შესაძლებელი სიდიდეები და შესაძლებელი სიმძლავრეები საქართველოს ტერიტორიის ერთ კვადრატულ კილომეტრზე თუ მდინარის სიგრძის თითოეულ კილომეტრზე.

მაგალითად, მდინარეების ბზიფის, კოდორისა და ენგურის აუზებში დასახლებული სიდიდეებიდან ენერგიის პოტენციურად შესაძლებელი წლიური გამომუშავება ნამდვილად გრანდიოზულია — 5-6 მილიონი კილოვატსაათი ყოველ ერთ კვადრატულ კილომეტრზე, ხოლო რაც შეეხება მეორე ხვედრით მაჩვენებელს, ისიც განსაკუთრებით მაღალია; მდინარე ენგურის აუზში იგი 10.000-14.000 კილოვატს უდრის მდინარის 1 კილომეტრ სიგრძეზე. ეს რეკორდული ციფრებია არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ მსოფლიოსათვისაც!

საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მძლავრი მდინარის — ენგურის აუზი ყოველწლიურად 20 მილიარდ კილოვატსაათზე მეტ პოტენციურ ჰიდრავლიკურ ენერგიას იტევს. სტატიაში მოცემულია მისი ენერგეტიკული გამოყენების სქემა ჰიდროელექტროსადგურების — ფარიჰესის, ტობარიჰესის, ხუდონიჰესისა და ენგურჰესის ოთხსაფეხურიანი კასკადის საშუალებით. მათი ყველა ძირითადი მაჩვენებელი მოცემულია გენერალურ გეგმასა და გრძივ პროფილზე (სურათი 1).

სტატიის ავტორი ლევან გველესიანი გვაძლევს ობიექტის გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების დახასიათებას, აგვიწერს მთელ რიგ ორიგინალურ ჰიდროტექნიკურ ნაგებობასა და ჰიდროკვანძს და, ბოლოს, მოგვითხრობს მსოფლიოში უმაღლესი — 272 მეტრი სიმაღლის თაღოვან კაშხალზე (ჯვრის ხეობაში — ზუგდიდთან ახლოს), რომელმაც ღირსეულად უნდა დააგვირგვინოს მსოფლიო კლასის ისეთი ჰიდროელექტრულ ნაგებობათა კომპლექსი, როგორიც ენგურჰესია — იგი ხომ 1640 ათასი კილოვატის სიმძლავრისა იქნება და წლიურად 5,5 მილიარდ კილოვატსაათს გამოიმუშავებს!

ამ მრავალმხრივი და საინტერესო ჰესის პროექტი, რომელიც შექმნა ინსტიტუტ „თბილჰიდროპროექტის“ კოლექტივმა, გვიჩვენებს ჩვენი სპეციალისტების მაღალ კვალიფიკაციასა და მდიდარ გამოცდილებას.


სტატიის მეორე ნაწილი ეძღვნება იმ მრავალფეროვან სამეცნიერო გამოკვლევებს, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და სხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები წლების მანძილზე რომ ახორციელებდნენ: საბელდობრ, ცემენტისა და ბეტონის ტექნოლოგიის შერჩევის, ნაგებობათა ჰიდრავლიკის, თაღოვანი კაშხალის სეისმომედეგობისა და მისი დაძაბულდეფორმაციული მდგომარეობის გაანგარიშებათა, აგრეთვე მსხვილმასშტაბიან მოდელებზე კაშხალის სტატიკური კვლევის საქმეში.


აღნიშნულმა გამოკვლევებმა მოითხოვეს მეტად რთული და დიდი საცდელი სტენდებისა და სამოდელო დანადგარების აგება, აგრეთვე სპეციალური და ორიგინალური საზომი აპარატურისა და ხელსაწყოების დამზადება, განსაკუთრებით ჰიდრავლიკური ექსპერიმენტული გამოკვლევებისა და კაშხალის დაძაბულობის სტატიკური გამოცდისთვის. მეორე სურათზე ნაჩვენებია თაღოვანი კაშხალის ქიმზე შედაპირული 6-მალიანი წყალსაშვის ჰიდრავლიკური გამოცდა.

დარწმუნებული ვართ, პროფესორ ლევან გველესიანის ეს სტატია, როგორც ამაზე წინასიტყვაობაში წერს ჟურნალის რედაქტორი, საინტერესო იქნება უცხოელი მეცნიერი მუშაკებისა და სპეციალისტებისათვის, აგრეთვე ჩვენი თანამემამულეებისათვის, რომლებიც, სამწუხაროდ, ნაკლებად იცნობენ საქართველოს ჰიდროენერგეტიკასა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

თადეოზ გეგელია,

პროფესორი, საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში.





სურათებზე: 1 — მდინარე ენგურის შუა დინების ენერგეტიკული გამოყენების გენერალური გეგმა და ჰიდროელექტროსადგურების ოთხსაფეხურიანი კასკადის გრძივი პროფილი.

2 — თაღოვანი კაშხალის ქიმზე ზედაპირული 6-მალიანი წყალსაშვის ჰიდრავლიკური გამოცდა. ნატურაში თითოეული მალის სიგანე 25 მ, წყლის ხარჯი 1800 კუბური მეტრი წამში (მოდელური გამოცდა თბილისის ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში).

სურათები გადმობეჭდილია აღნიშნული შვეიცარული ჟურნალიდან.

ჩ ვ ე ნ ი ი ს ტ ო რ ი ი ს ძ ი რ ი თ ა დ ი წ ყ ა რ ო

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის წერილობით წყაროთა შორის „ქართლის ცხოვრებას“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს არის ქართველი ხალხის უნიკალური ქმნილება — სხვადასხვა ავტორთა მიერ სხვადასხვა დროს დაწერილი ისტორიულ თხზულებათა კრებული, რომელიც მოგვითხრობს და აშუქებს ქართველთა გმირულ ისტორიას — დასაბამიდან XVIII საუკუნის დამდეგამდე. სწორედ ამაზე მეტყველებს მისი სათაურიც „ქართლის ცხოვრება“. დიდი ქართველი მეცნიერის ივანე ჯავახიშვილის მიერ დადგენილია, რომ „ცხოვრებას“ ძველ ქართულში ჰქონდა არა მარტო დღევანდელი მნიშვნელობა, არამედ აღნიშნავდა ავრეთვე ქვეყნის, ხალხისა და დიდი საეკლესიო თუ სახელმწიფო მოღვაწის თავგადასავალსა თუ ისტორიასაც. ამიტომ სახელი „ცხოვრება“ ჩვეულებრივ ძველ საქართველოში ისტორიის გაგებითაა და მნიშვნელობით იხმარებოდა. მართალია, მისი შესატყვისი უცხოური (ბერძნული) სახელი — „ისტორია“ საკმაოდ ადრე, XIII საუკუნის დამდეგისათვის შემოვიდა ჩვენში, მაგრამ მან ფეხის მოკიდება და საყოველთაო აღიარება ჩვენს სინამდვილეში მხოლოდ XIX საუკუნის დამდეგიდან მოიპოვა. მანამდე კი, ვიმეორებთ, ისტორიის მნიშვნელობით იხმარებოდა: ცხოვრება, მატიანე, ამბავი და სხვა. თუ გავიხსენებთ იმ გარემოებასაც, რომ ძველად გეოგრაფიული სახელი „ქართლი“, გარდა საკუთრივ ქართლისა, მთლიანად საქართველოსაც აღნიშნავდა, აშკარა გახდება: „ქართლის ცხოვრება“ თანამედროვე გაგებით საქართველოს ისტორიაა. ჩანს, ქართველ ხალხს ადრიდანვე უწარუნდია, რათა სახელოვანი წარსული არა მარტო წერილობით ყოფილიყო აღბეჭდილი ქვის ფილებზე, ეტრატისა თუ ქაღალდის ფოლიანტებზე, არამედ შეექმნა საისტორიო თხზულებათა იშვიათი კრებულიც, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ სახელწოდებით არის ცნობილი. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით, აღნიშნული კრებული XI საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბებული ძეგლია. თავდაპირველად ის სულ ოთხი თხზულებისაგან შედგებოდა: ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“, მისივე „ხინოს მიერ ქართლის მოქცევა“, უცნობი ავტორის „ვახტანგის ცხოვრება“ და ლეონტი მროველისვე „არჩილ მეფის წამება“. ნაწარმოები მთავრდებოდა ანდერძით, რომელიც არჩილის წამებას მისდევს და იკითხება: „ხოლო წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად. ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამომდე აღიწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის-ქმარმან წმიდისა არჩილისმან, ნათესავმან რევისმან, მირიანის ძისამან. მიერითგან შემდგომთა მომავალთა ნათესავთა აღწერონ ვითარცა იხილონ და წინამდებარემან ჟამმან უწყებად მოსცეს გონებასა მათსა ღმრთივ განბრძნობილსა“.

მართალია, ეს ანდერძი თავდაპირველი სახით ჩვენს დრომდე მოღწეული არა ჩანს, მაგრამ ის მაინც იმის მაუწყებელია, რომ „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაკვეთი ავტორებს „ჟამითი ჟამად“ (დროდადრო) უწერიათ. ისინი მომავალ თაობებსაც მოუწოდებდნენ აეწერათ შემდგომი ნაკვეთები, როგორც ამას დრო დაანახვებდა და როგორც მათი „ღმრთივ განბრძნობელი“ გონება საჭიროდ მიიჩნევდა. მართლაც, მომდევნო თაობანი წინაპართა ვალში არ დარჩენილან, იმთაც გულმოდგინედ უწერიათ ისტორიული თხზულებანი, რომლებიც შემდეგ „ქართლის ცხოვრებაში“ ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებით სამ წყებად შეუტანიათ. ჯერ „მატიანე ქართლისაჲ“ და „დავითის ცხოვრება“. ამის შემდეგ ცალკე შეტანილი ჩანს სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“. ხოლო მესამედ, აგრეთვე ერთად შეუტანიათ დიდი თამარის ისტორია — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ჟამთაღმწერლის სახელით ცნობილი ავტორის თხზულება, რომელშიც XIII-XIV საუკუნეთა (თათარ-მონღოლთა ბატონობის ხანა) საქართველოს თავგადასავალია აღწერილი.

ესე თანდათანობით იწერებოდა ჩვენი სახელოვანი წარსულის ძვირფასი საუნჯე. მაგრამ „ჟამთა სიავის“ გამო მისი წერა XIV საუკუნის დამდეგს შეწყვეტილა და მომდევნო ხანის ამბებზე იქ დიდსულნი აღარაფერი იყო ნათქვამი. კრებულის ეს დიდი ნაკლი მხოლოდ XVIII საუკუნის დამდეგისათვის გამოსწორდა ბატონიშვილი ვახტანგის (შემდეგში ქართლის მეფე ვახტანგ VI) თაოსნობითა და ხელმძღვანელობით. „ქართლის ცხოვრების“ რედაქციაზე მომუშავე „მეცნიერმა კაცებმა“ აღწერეს საქართველოს ისტორია XIV, XV, XVI და XVII საუკუნეებისა და ისიც „ქართლის ცხოვრებაში“ შეიტანეს, რის შედეგადაც შეივსო ეს კრებული და ის სახე და მოცულობა მიიღო, რომელიც დღესა აქვს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი ცოდნა ქართველი ხალხის ისტორიული წარსულისა უმთავრესად „ქართლის ცხოვრებას“ ემყარება, ხოლო დროის ზოგიერთი მონაკვეთის გასაშუქებლად ის თითქმის ერთადერთი წყაროა. ამასთან ერთად, „ქართლის ცხოვრებაში“ მის ავტორთა მიერ წამოყენებულია არაერთი ისეთი დებულებაც, რომელიც თავისი აზრის სიღრმითა თუ აღმაფრენით ამკარად შორდება შუასაუკუნეთა ისტორიოგრაფიულ ნორმებს და უაღრესად ახლებურად ჟღერს.

მაგალითად, ლეონტი მროველის მტკიცება ქართველებისა და სხვა კავკასიელ ხალხთა სისხლით ნათესაობის, ძმობის შესახებ. მისი სიტყვით: ქართველებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, ლეკებს, ოსებს, ყაბარდოელებსა და კავკასიის სხვა ხალხებს ერთი წინაპარი ჰყოლიათ, სახელად თარგამოსი, რომელიც ბიბლიური ნოეს მესამე შვილის იაფეთის შვილიშვილი ყოფილა. რასაკვირველია, დებულებას ერთი წინაპარისაგან ხალხთა წარმოშობის შესახებ ისტორიულ სინამდვილესთან საერთო არა აქვს, მაგრამ უამისოდაც, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის თეორია კავკასიელ ხალხთა სისხლით ნათესაობის — ძმობის შესახებ უაღრესად ორიგინალური და უთუოდ მნიშვნელოვანია. ყოველ შემთხვევაში, ენათმეცნიერული თუ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებიც შესამჩნევად ამაგრებენ მას. უთუოდ ახლებურია დიდი დავითის ისტორიკოსის მსჯელობა ობიექტური პირობების განსაკუთრებული მნიშვნელობის შესახებ სახელმწიფო მოღვაწეთა წარმატებისათვის. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი ამბობდა: „მან კარგად იცის (დავითის ისტორიკოსს შეეხება) რაოდენი ძალა და გავლენა აქვს მოღვაწის პირად ნიჭს და დაუღალავ მოქმედებას, მას ჩინებულად ესმის, რომ უმაღლესი ნიჭიერებითა და თავგამოდებითაც აღჭურვილი მოღვაწეც კი, თვით უძლიერესი გვირგვინოსანი მეფეც, ყოვლად შემძლეები არ არიან და მისი მოქმედება ქვეყნისა და ხალხის თანამედროვე მდგომარეობითა და საზოგადოებრივი პირობებით არის შეზღუდული“. ობიექტური პირობების ამგვარი გაგება XII საუკუნის საქართველოში უთუოდ სამართლიან გაოცებას იწვევს, მაგრამ კიდევ უფრო განსაცვიფრებელია საზოგადოებრივი აზრის სიმწიფითა და მნიშვნელობით ის პოლიტიკური გამოსვლა, რომელიც თამარის ცხოვრებაშია აღბეჭდილი. საქმე ეხება სომდიდრით აღზევებულთა გამოსვლას, რომლებსაც თამარისათვის მოუთხოვიათ: დაედგა ისანში (ძველი თბილისის უბანი — ავლაბარი) მეფის სასახლის მახლობლად, ცალკე კარავი ან სასახლე, სადაც ისინი (სომდიდრით აღზევებულნი) დამოუკიდებლად მეფისა გამართავდნენ სხდომებს. კარავს უნდა ჰქონოდა უფლება: „მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისხვისანი. ვჰკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარ მეფესა და დედოფალსა მაშინ-ღა სრულ იქნებოდეს განგებული ჩვენიო“. ამგვარად, ამ პროექტით კარავს უნდა მიეღო საკანონმდებლო უფლებები, მეფეს კი მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება დარჩენოდა, სხვაგვარად, საქართველოში ისპობოდა თვითმპყრობელობა და მის მაგიერ პარლამენტისმაგვარი დაწესებულება ჩნდებოდა, ამიერიდან საქართველო კონსტიტუციურ მონარქიად უნდა ქცეულიყო.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, დიდი სიახლე იყო და სიახლე არა მარტო საქართველოს ისტორიისათვის.

ამასთან ერთად, საჭიროა გვახსოვდეს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ მარტო ქართველებსა და საქართველოზე როდია საუბარი. მასში ბევრი საგულისხმო ცნობა მოიპოვება ქართველთა ახლობელი და შორეული მეზობლების: სომეხთა, აზერბაიჯანელთა, ლეკების, ოსების, ყაბარდოელებისა და კავკასიის სხვა ხალხთა შესახებ. იქ არაერთი შემთხვევაა აღბეჭდილი ქართველებისა და აქ მოხსენებულ ხალხთა არა მარტო ისტორიული თანამეგობრობისა, არამედ მათი ერთმანეთის მხარდამხარ, იარაღით ხელში, ერთად ბრძოლისა მოზღვავებული გარეშე მტრების წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. სწორედ ამგვარი მნიშვნელობით აიხსნება ის აუცილებელი ამბავიც, რომ ეს კრებული, ჯერ კიდევ XII საუკუნეში, მართალია, ოდნავ შემოკლებით, მაგრამ მთლიანად უთარგმნიათ სომხურ ენაზე. უთუოდ საგულისხმო ცნობებს იპოვის მკითხველი „ქართლის ცხოვრებაში“ ბერძნების, რომაელების, ირანელების, არაბების, თურქების, თათარ-მონღოლებისა და სხვათა შესახებაც. საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის ამ ძეგლის მიხედვით XI საუკუნიდან დასტურდება.

ყველა ამ სიკეთესთან ერთად „ქართლის ცხოვრებას“ კიდევ ერთი ნიშან-თვისებაც აქვს: ის შორეული წარსულის ძეგლია, მისი შინაარსი წარსულს ეხება მხოლოდ. ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა კარგად იცოდა, რომ სახელმწიფო მოღვაწის წარმატებისათვის აუცილებელია წარსულის საფუძვლიანი ცოდნა, რათა მას ჰქონდეს შესაძლებლობა, როგორც ეს მის „ცხოვრებაშია“ ნათქვამი, „წარსულს დაამსგავსოს მომავალი“. სწორედ ამას ემსახურებოდა დავითის ხელში საქართველოს ისტორია — „ქართლის ცხოვრება“. ამის გარდა, „ქართლის ცხოვრებაში“ საზგასმულია ხალხთა მეგობრობის განსაკუთრებული მნიშვნელობაც. იქ აღბეჭდილია არაერთი შემთხვევა ქართველებისა და კავკასიის სხვა ხალხთა ისტორიული მეგობრობისა, რასაც არაერთი დამპყრობელი კუდამოძუებული გაუქცევია კავკასიის მისადგომებიდან. ხალხთა მეგობრობა დიდი ძალა იყო ყოველთვის. ეს არის მოვლენა, რომლის განმტკიცებაგაფართოებისათვის პროგრესული კაცობრიობა შეუპოვრად იბრძვის დღესაც. ამასთან ერთად, „ქართლის ცხოვრების“ ფურცლები აღსავსეა სამშობლო ქვეყნისათვის თავდადებულ გმირთა სახელებით. მათი ვაჟკაცობისა და ქვეყნისათვის თავგანწირვის მაგალითებით დღესაც უსაზღვრო აღფრთოვანებას იწვევენ მკითხველში.

კონსტანტინე გრიგოლია,

პროფესორი.

ნახევარი ქულა

რეპორტაჟი რიგიდან

ნონა გაფრინდაშვილი? თანაც მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ჭადრაკში? იგი ხომ ერთადერთია ქვეყნად და თუ გსურთ ნახოთ ქართველი ქალი, რომელიც მეოთხედ ადის ჭადრაკის ქალღმერთის უმაღლეს ტახტზე, სასწრაფოდ გაიქეცით თბილისის აეროფლოტის სააგენტოში და იკითხეთ, შეიძლება თუ არა გაფრინდეთ რიგაში აუცილებლად დღევანდელი რეისით. თანაც უნდა დასძინოთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ვეღარ ნახავთ გაფრინდაშვილ-კუშნირის მატჩის „ქართულ ვარიანტს“, უფრო სწორად, „ქართულ ენდშპილს“. იქ გიპასუხებენ, რომ ბილეთები აღარ არის და შესაძლოა, ბედმა გაგიღიმოთ და შიგ აეროპორტშივე, რეისის წინ ხელთ იგდოთ ნაღდი ბილეთი... ფაცხა-ფუცხით ძვრებით ავტომანქანაში და აეროპორტისაკენ მიექანებით. სატრანზიტო განყოფილების ახალგაზრდა მომხიბვლელი დისპეტჩერი ქალი კი ბედივით გიღიმით. ნუ დაიბნევით და მოიკრიბეთ მთელი თქვენი ენამახვილობა, თორემ დამარცხდებით.

მაგრამ თქვენი დამარცხება უკვე შეუძლებელია.

...მოკალათდით კიდეც თქვენს ადგილზე თვითმფრინავში? კეთილი და პატიოსანი. გადახედეთ გვერდით მჯდომ თანამგზავრს და 4-საათნახევრიანი მხიარული მგზავრობა ალუთქვით...

რიგა!

ელვის სისწრაფით არბიხართ სასტუმრო „რიგის“ ქვის კიბეებზე. ტაქსის მძღოლი კი გაკვირვებული შემოგცქერით და ფიქრობს, რა უცნაური ხალხია ეს ქართველები, ამ გახურებულ ტურისტულ სეზონში როგორ უნდა იშოვნო ოთახი ამ სასტუმროშიო. მაგრამ თქვენ სულაც არ გაწუხებთ მძღოლის ფიქრები და მხოლოდ საკუთარ „დებიუტს“ ირჩევთ.

მეექვსე სართულზე კოხტა ქერათმიანი მორიგე დიდი ლურჯი თვალებით შემოგცქერით.

— სად არის ნონა? — ახლით ტყვიასავით.

— ყველანი აქ, ამ ორ სართულზე არიან, — და ხხაპა-სხუპით გისახელებთ ყველა ქართველის სახელსა და გვარს, ვისაც კი დაუპყრია ლატვიის მშვენიერ დედაქალაქში აღმართული ეს მაღალი შენობა. ოჰ, რამდენი ნაცნობი ყოფილა! მაგრამ ამაზე სხვა დროს. ჯერ უნდა მოეწყოთ. სანამ თქვენს მეგობარ საჭადრაკო მიმომხილველ გივი გამრეკელს „დაატყვევებდეთ“ 525-ე ოთახში, 645-ე, 644-ე, 646-ე ოთახებიდან

23 ივნისისათვის მატჩის ანგარიშია 7,5:6,5 ნონა გაფრინდაშვილის სასარგებლოდ.



ურიამულით გამოშლილი ქართველი მოჭადრაკეების, ფოტორეპორტიორების, „ისე“ სტუმრებისა და „ასე“ მასპინძლების, ნონას მშობლებისა და ბიძა-ბიცოლების, ხუთი ვეება ძმისა და მათი ოჯახების, მეუღლისა და პატარა დათოს (ალბათ მამაკაცებში მომავალი მსოფლიო ჩემპიონის), მრავალრიცხოვან მეგობართა უზარმაზარი არმიის შემოტევას უნდა გაუძლოთ.

დღეს ნამდვილად მოიგებს. აბა როგორ! აქამდეც უნდა დაემთავრებინა მატჩი. უეჭველად მოიგებს. ისე როგორ გამოვა! აბა, არ გაუშვათ!... ჩვენი შეხვედრისა იყოს!.. ეს ნონას გამარჯვებისა!... ეს თბილისისა!...

თავდაუზოგავად იბრძვით, მაგრამ ვერას ხდებით ამ არმიის მძლავრ დაწოლასთან, ფარ-ხმალს ჰყრით და ნებდებით. შორს ჩემოდანი! გაუმარჯოს რიგას!

კაცო, რამდენი ქართველი ყოფილა თურმე რიგაში?! მაგრამ ნონა რომ არ გინახიათ ჯერ ... მსოფლიოს ჩემპიონი? არ იცნობთ და გაგაცნობენ. ნახევარი ქულაღა დარჩა. 8 ქულა და ჩემპიონის დაფნის გვირგვინი. არ გხარიათ? გასულ პირველობაზე უთქვამს ნონას ბებიას — შვილო, ამ დაფნისთვის რომ იკლავ თავს და ნერვიულობ, იმდენ გვირგვინს გაგიკეთებ, რამდენიც შენს გულს უნდა შვილო, ოღონდ იმისშორეზე ნუ დადიხარ და ნურც ნერვიულობო.

ნეტა კუშნირის ბებია რას ეუბნებოდა თავის შვილიშვილს?...

რიგის წყნარ ქუჩებში ხმაურით მიედინება ქართველთა ნაკადი და ბედავთ, რიგის ოფიცერთა სახლთან როგორ „გუბდება მორევი“. გრძნობთ, როგორ გითრევთ ეს მძლავრი მორევი და რამდენიმე წუთში უკვე ამ სახლის „ოქროს დარბაზად“ მონათლულ ხალხით სავსე ნათელ დარბაზში თავმოყოფილი ხედავთ, რა საოცრებებს ახდენს ჭადრაკის დაფაზე ნონას გონებით ნაკარნახევი მარჯვენა და როგორ ჯადოსნურად ცოცხლდება და ბობოქრობს ერთის შეხედვით თითქოს მკვდარი ფიგურების თავგანწირული რაზმი.

ნიმცოვიჩის დაცვა...
გრიუნფელდის დაცვა...
სიცილიური დაცვა...
მოასპარეზეთ სულაც არ ეცინებათ.

ჯერ ბიკოვას დაეკარგა სიცილის ხასიათი სამუდამოდ, როცა 1962 წელს „სისხლისმღვრელ“ ბრძოლაში დაუთმო ტახტი ქართველ ქალიშვილს. შემდეგ, 1965 წელს უკვე ალა კუშნირი გადაეღობა წინ მსოფლიოს ჩემპიონს, მაგრამ დამარცხდა. 1969 წელს პრეტენდენტი კვლავ შეებრძოლა შავთვალებბრიალა ჭადრაკის ქალღმერთს და ბოლოს, მწარედ, ძალზე მწარედ ატირდა, როცა მიხვდა, რომ ამჯერადაც ვერ ამაღლდა საჭადრაკო ოლიმპის უმაღლეს სამაღლეზე. და ახლა, ოთხი წლის მერე მარადიულ პრეტენდენტად სახელგანთქმული ალა კუშნირი დღეს მესამედ უდგას პირისპირ მსოფლიო ჩემპიონს, აუღელვებლად, ოლიმპიური სიმშვიდით რომ აბოლებს მატჩს მსოფლიო პირველობაზე. პრეტენდენტი კი ნერვიულობს. ტუჩებს იკამს. ფრჩხილებს იკვნეტს. სათვალეს იხსნის. ცისფერი ცხვირსახოცით აკრიალებს ლინზებს. ნონას ნახევარი ქულა აკლია მხოლოდ. ძალა აღმართსა ხნავს. დუმილით სავსე დარბაზში მოასპარეზეთა გულების ბაგა-ბუგი გესმით. თქვენ ხელები გეკვეთებათ. სასწრაფოდ იმარჯვებთ პროფესიონალურ ფართეფირიან ფოტოკამერას და ელვისებურ სურათს ულებთ ალას სწორედ მაშინ, როცა იგი საყვედურით სავსე მოღლილ მზერას დაადგამს თქვენს აპარატს — აბა, თქვენ იყოთ ჩემს ადგილას, კარგი იქნებოდაო? მატჩის არბიტრი ა. მიკენასი მოდის თქვენთან და ჩუმად, სერიოზულად გაფრთხილებთ, რომ ხმაურიანი და გამომწვევი აპარატის ხელმეორედ გამოყენებისთანავე გაიძულებთ აუდიტორიის წინაშე თუნდაც ერთი პარტიის თამაშს, თანაც სწორედ იმ მაგიდასთან. თქვენც ჩუმად წითლდებით და თვალებს ნაბავთ.

ფიქრობთ: რამდენი სახელოვანი ქალი ჰყოლია საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე. მათი სახელებით ამაყობდა ერი და ეფინებოდა საქართველოს კეთილი და ვაუკაცური, ლამაზი და სწორუპოვარი დიდება. და მაინც, ისეთი ადამიანი, რომლის სახელითაც მთელმა მსოფლიომ ირწმუნა ქართველი ხალხის მიზანსწრაფვა, გონიერება და სიბრძნე, ჩვენს ბობოქარ საუკუნეში, უმაღლეს მე-20 საუკუნეში იშვა და თავისი ჯადოქრული ხელოვნება ერის დიდებისათვის გამოიყენა არა მხოლოდ შავი და თეთრი ფიგურების მაგიური მხარდაჭერით, არამედ თავისი ხალხის ლაყუვარდოვანი შემოქმედებითი სულითაც გაჟღინთა ყველანი, ვინც კი ეტრფის ამ უძველეს ბრძნულ თამაშს.

პარტია გადაიდო.

პრეს-ცენტრში ერთი ამბავია. დიდოსტატები ტალი, ფლორი და კობლენცი საჭადრაკო ფიგურების ბრახუნით ხმამაღლა აანალიზებენ გადადებულ პარტიას.

41-ე სვლა ჩაიწერა მსოფლიო ჩემპიონმა, ე. ი. ნონამ. თქვენც იწერთ ბლოკნოტში მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებს ამ პარტიის ირგვლივ, ათვალიერებთ ნაცნობებს, ულიმით უცნობებს და ძალიან კმაყოფილი ხართ იმით, რომ არ დაგეზარათ და ჩამოხვედით რიგაში სწორედ მაშინ, როცა მხოლოდ ნახევარი ქულა ყოფნის ჩვენს ნონა გაფრინდაშვილს დედამიწის ზურგზე თავისი უძლეველობის ზედიზედ მეოთხედ დასამტკიცებლად.

ვასილ მჟედლიშვილი,
„სამშობლოს“ სპეციალური კორესპონდენტი,

დოქთა ქება



ორმოცდაათიანი წლების საქართველოში ხელოვნების ორი უძველესი დარგი აღორძინდა: მეთუნეობა და ოქროსმჭანდაკებლობა. მეთუნეობის აღორძინებაში დაუფასებელი წვლილი მიუძღვის თბილისის სამხატვრო აკადემიას; იქ აღდგა ქართული კერამიკა, გამომჟღავნდა ბევრი ტექნოლოგიური საიდუმლოება, რომელთა შორის დომინანტობს შებოლვის წესი, გამოირჩევა უძველესი ქართული თიხეული, ჭკის ხანაში რომ იღებს სათავეს, ბრინჯაოს ხანაში კი შედევრებამდე აღწევს.

ასაკით არქაული, ტექნოლოგიური და ესთეტიკური ღირსებებით დღემდე აღმაფრთოვანებელი დოქები, ჭურები თუ დერგები ქართველი კაცის მაღალ გემოვნებაზე მეტყველებს.

ქართული ხალხური მეთუნეობა თავი და თავია დღევანდელი პროფესიული კერამიკული ხელოვნებისა, რომლის ერთ-ერთი საინტერესო წარმომადგენელია ახალგაზრდა მხატვარი ქალი ნანა ბოტკოველი; ბოტკოველის წინაპრებისათვის მეთუნეობა უპირველესი სამეურნეო და სახელოვანი საქმიანობა იყო; იყალთოში (თელავის რაიონი) დღესაც მამაპაპურად ზელენ და ძერწავენ აყალოს მისი მოგვარენი და თანასოფლელები.

ამას წინათ, თბილისში, შემოქმედი ქალის მეორე პერსონალური გამოფენა რომ გაიხსნა, სხვებთან ერთად ავტორის გულშემატკივრები იყვნენ იყალთოელებიც, რომელთაც ჩამოუძღვა უხნესი მეჭურჭლე და მოლექსე ვანო მრელაშვილი. მოხუცმა გულწრფელად აღიარა, რომ არ ელოდა ქალისაგან, თანაც ესოდენ ნაზი ქალისაგან, მსგავსი მოცულობისა და ლაზათის ჭურჭლის შექმნას; ამაზე იტყვიან — გაგონილს თვალით ნანახი სჯობიაო!

ეს ითქმის განსაკუთრებით ქანდაკებასავით ნაძერწ წყვილ დოქზე — „ნეფე-დოდოფალზე“, რომლებიც ლამის მხარს უსწორებენ ავტორს (ნეფე — 80X47-ზე, დედოფალი 78X47).

დაძერწილი ჩუქურთმით შემკული და ძალზე ქართული იერით გამოსარჩევი ეს მოხდენილი დეკორატიული დოქები (თეთრი თიხის დედოფალი და შავად გარუჯული ნეფე) მეთაურებად წარუმძღვარა გამოფენას მხატვარმა კოტე ჭანკვეტაძემ და ისე გააწყო დარბაზი, რომ თუშური ფარდაგებით მორთულ ტახტზე დაბრძანებული „ნეფე-დედოფალი“ მთავარ როლს თამაშობდნენ.

ნანა ბოტკოველის შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ფორმის მონუმენტურობა, საამო, ზომიერი დეკორატიულობა და ზედაპირის შემძივულ-დაცვარული ჩუქურთმით მორთვა, რაშიც ზოგჯერ პატიოსანი თვალივით ამოსჭვივის ფირუზი ჭიქური.

ყოველი მისი დოქი, ამფორა, მარანი, ცალყურა სასმისი თუ სურა გაადამიანურებული და გაცოცხლებულია — ზოგი თამარ ქალია, ზოგი ბახუსის მოყვარული, ლაზათიანი კახელი, ზოგი კოპწია საპატარძლო, შიბიანი ხევსური გოგონა, ზოგიც ირემი, ხარი ანდა ვერძია...

მხატვრის შემოქმედებაში თავისებურ გამოძახილს პოულობს ძველი ქართული კერამიკული ხელოვნების მოტივები, ოღონდ ეს განმეორება კი არა, გაახლება და გადახალისებაა არქაული ფორმებისა. ქართველ არქეოლოგებთან თანამშრომლობის წყალობით ნანას ხშირად ეძლევა საშუალება წარსულთან მიახლოებისა, საუკუნეების მანძილზე მიწაში ჩამარხული ნივთების ხილვისა.

ფორმის, შემკულობისა და ჭიქურის ფერწერულობა იმდენად გემოვნებით, ოსტატურად არის შეთამაშებული ნანას ნამუშევრებში, რომ არჩევანიც კი ძნელდება, რომელია მჯობინი: აკადემიურობით, მკაცრი სისადავით გაამაყებული, შორეულ გზებზე ნამყოფი სადიპლომო საღვინე კრებული, დარბაისლური შავპრიალა ზედაპირითა და ვერძის გამოსახულებით დამშვენებული სალუდე ტოლჩა („სიშმარი“), იუველირული გულმოდგინებით დაძერწილი ზამბახისფერი ამფორა „ისმუელა“, ჯიღით შემკული ხარისთავა საჭორწილო მარანი, თაფლისფერ ჭიქურში ამოვლებული „ფრესკულა“ თუ ხევსურული ხალიჩის მოტივებით შემკული „ლერწამა“.

როცა ნანა ბოტკოველის შემოქმედებაზე ვსაუბრობთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი, ამ დიდტანიანი ჭურჭლის ავტორი, საოცრად ფლობს თვით კეცის ამოყვანის, გათხელების ხერხს, ეს ნატიფობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა დიდი სახილე თასებისა და დეკორატიული თეფშების ხილვისას.

სულ რვა წელიწადია, რაც ახპარეზზე გამოვიდა ნანა ბოტკოველი და მის ბიოგრაფიაში უკვე ოცდაათზე მეტი სხვადასხვა გამოფენა დაითვლება, რომლებიც გამართულა თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, ტალინსა თუ უცხოეთში (ალჟირი, იუგოსლავია, პოლონეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, შვეიცარია). მათზე ყოველთვის გამორჩეულა ქართული, ბოტკოველისეული კერამიკა თამამი ფორმით, მდიდრული, მაგრამ თავშეკავებული ჩუქურთმით, პოეტურობით.

ნანა ღვინეფაძე

სურათზე: „ნეფე-დედოფალი“.
ვახტანგ ჩხუბიანის ფოტო



რა ხდება ევროპის სტადიონებზე?!

...მატჩი დასასრულს უახლოვდება. „გლაზგო რეინჯერსის“ გუნდი ყრუ დაცვაზეა, „დინამო“ უტევს. ცოტაც და, მოედანზე, სადაც ვაქკაცური ორთაბრძოლა მიმდინარეობს, წონასწორობა აღდგება... უველაფერი დაიწუება თავიდან — ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის ფინალური ასპარეზობა კიდევ 80 წუთით გაგრძელდება და, ვინ იცის, ვისკენ გადაიხრება გამარჯვების სასწორი. შეტევას შეტევა მოსდევს. დაძაბულობამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია და... მოხდა ის, რამაც აღაშფოთა ფეხბურთის ნამდვილი გულშემატკივრები საბჭოთა კავშირსა თუ ბრაზილიაში, ინგლისსა თუ იტალიაში, საფრანგეთსა თუ უნგრეთში... გამხეცებული ბრბო (აქ სხვა გამოთქმის მოყვანა ძნელია), მოედანზე გადმოცვივდა და უცებ უველაფერი დაემსგავსა იმ „ღამის კლუბს“, სადაც ექსტაზში შესული მთვრალი გოგო-ბიჭები ივილსა და მანჭვა-გრეხაში პოულობენ შვებას. სამწუხაროდ, ისინი, ვისაც ბარსელონის სტადიონზე წესრიგის დაცვა და ფეხბურთელების ხსნა ევალებოდა, თვითონ გახდნენ მისაშველებელნი, — ოფიციალური ცნობების თანახმად „აღვირახსნილმა გულშემატკივრებმა წესრიგის მრავალი დამცველი გაგზავნეს საავადმყოფოში“... მატჩი, რომლის ფინალიც ბევრს გვპირდებოდა, ფაქტიურად ჩაიშალა. მართალია, კარგა ხნის შემდეგ მისი ბოლომდე მიყვანა მაინც მოხერხდა, მაგრამ ის უმალ ვალის მოხდას ჰგავდა, ვიდრე სპორტულ პაექრობას.

და აი, მათ სახელზე, ვისაც ჩვენს პლანეტაზე № 1 სპორტის — ფეხბურთის ბედი აბარია, დაიწერა პროტესტები, ბარსელონაში მომხდარი ინციდენტის მიმართ გულგრილი არავინ დარჩენილა, თვით „გლაზგო რეინჯერსის“ ფეხბურთელებმაც გულახდილად აღიარეს: ჩვენი „გულშემატკივრების“ საქციელს ვგმობთ, მათ მაგივრად გვრცხვენიაო. ესპანეთის მთავრობამ კი საქვეყნოდ განაცხადა — შოტლანდიელ ტურისტთა ხულიგნური საქციელის აღკვეთა სტადიონის გარდა სასტუმროებში, ჭუჩებსა და აეროპორტებშიც მოგვიხდა და ჭალაჭიც საკმაოდ დაზარალდაო... საბოლოო სიტყვა ფეხბურთის თემიდას ეკუთვნოდა, მაგრამ იგი არ აჩქარებულა. 7 ივნისს ფეხბურთის ასოციაციათა ევროპის კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა ვენაში გამართულ სხდომაზე, მართალია, გადაჭრით დაგმო მაყურებელთა ექსცესები, რაც თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩის დროს მოხდა ბარსელონაში, მაგრამ ისიც განაცხადა, რომ „დინამოს“ პროტესტს ვენაში ვერ განვიხილავთ, ვინაიდან არც ფეხბურთის ასოციაციათა ევროპული კავშირის აღმასკომი, არც უეფა-ს კონგრესი უფლებამოსილი არ არიან ამგვარი საკითხების გადასაწყვეტადო, პროტესტს დისციპლინური კომიტეტი განიხილავსო...

შექმნილი მდგომარეობიდან ფეხბურთის ასოციაციათა ევროპული კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა საკმაოდ იოლი გამოსავალი იპოვა. მან დაადგინა: „ამიერიდან ფინალური მატჩები გაიმართოს მხოლოდ იმ სტადიონებზე, სადაც ფეხბურთის მინდორი გარშემორტყმულია სპეციალური მესრით ან თხრილით“. ამ გადაწყვეტილების წაკითხვისთანავე, ალბათ, ევროპის ყველა სტადიონის გარშემო შეუდგნენ თხრილების გაჭრას, მინდვრებს შემოავლეს მავთულხლართები, ააშენეს ჭებირები... გეღიმებათ? არ ამოთხრიან ორმოებს სტადიონების გარშემო და ვერასოდეს იხილავენ დიდ ფეხბურთს, ნამდვილ გულშემატკივარს კი უფეხბურთოდ რა გააძლებინებს! მაშ, ჩქარა სტადიონისაკენ ნიჩბებით!...

უეფა-ს დისციპლინურმა კომიტეტმა შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსი“, გულშემატკივართა უხამსი საქციელის გამო ორი წლით გარიცხა ყველა შეჯიბრიდან, რომელიც კი ფეხბურთის ასოციაციათა ევროპული კავშირის (უეფა) სახელით გაიმართება. ამავე დროს კომიტეტმა უარყო მოსკოვის „დინამოს“ მოთხოვნა მატჩის გადათამაშების თაობაზე.

მოსკოვის „დინამოს“ გუნდის უფროსმა ლევ იაშინმა პროტესტი შეიტანა უეფა-ს სააპელაციო ჟიურიში და ფეხბურთის ჰეშმარიტი მოყვარულნი მოელიან გონიერ პასუხს. ის, რაც საქვეყნოდ იქნა დაგმობილი, გამეორდა მთელი მსოფლიოს გულშემატკივართა თვალწინ. გფრ-ისა და საბჭოთა კავშირის ნაკრების ფინალური მატჩის დროს დიდებული ფეხბურთი კვლავ შეურაცხყვეს. ისტორიულ ღრიანცელზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ვერაფრით აგვიხსნია იმ ადამიანთა საქციელი, რომლებიც თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოედანზე გადაცვივდნენ და მატჩი ლამის ჩაშალეს. გახსოვთ — ხულიგნებს რა გულმოდგინედ ერეკებოდნენ მოედნიდან მაიერი, მიულერი, ბეკენბაუერი?...

მსოფლიო ფეხბურთის მესვეურებმა დროა საზრიანი და გადამჭრელი ზომები დააკანონონ უველა იმათ წინააღმდეგ, ვინც დიდებული სპორტის სანახაობებზე ადამიანის სახეს ჰკარგავს, ღრიანცელით ერთობა, ველურივით ახმიანებს ათასგვარ ღორღტოტოს, იმანჭება და თავისი „ჟოჩრით“ უმალ დედაკაცსა ჰგავს, ვიდრე მამაკაცს.

თამაზ მირიანაშვილი

პრიზი — სტუდენტებს

ქარგ ტრადიციად დამკვიდრდა სპორტსაზოგადოებათა ნაკრები გუნდების ტურნირი ესტაფეტაში — თბილისის წრე გაზეთ „კომუნისტის“ პრიზზე, რომელსაც საეუძველი შარშან, გაზეთის დაარსების 50 წლისთავის ზეიმის დღეებში ჩაეყარა. მაშინ პრიზი დინამოელებმა მოიპოვეს. შეჯიბრებაში ამჯერადაც „დინამოს“, „ქარიშხალას“, „განთიადის“, „სპარტაკის“, „ლოკომოტივისა“ და „შრომითი რეზერვების“ სამ-სამი ნაკრები გამოდიოდა.

ტრასა, რომელიც „კომუნისტის“ რედაქციასთან იწყებოდა, თორმეტ ეტაპად დაიყო. შეჯიბრების მონაწილეებს რუსთაველის გამზირი, ლენინის მოედანი, გორგასლის მოედანი, მეტეხის ხიდი, მარცხენა სანაპირო, პლეხანოვის გამზირი, მარჯანიშვილის მოედანი, ჩულიუსკინელთა ქუჩა, გმირთა მოედანი უნდა გაევლოთ და ლენინის ქუჩით ისევ რედაქციის შენობასთან დაბრუნებულიყვნენ.

სტარტზე ექვსი საზოგადოების 18 მძლეოსანი ვაჟი მოეწყო. შემდეგ ეტაპზე ესტაფეტა ქალებს მიჰქონდათ. მეტეხის ხიდამდე მძლეოსანი ვაჟები და ქალები ერთმანეთს ცვლიდნენ. მეტეხის ხიდიდან ბრძოლაში ველოსიპედისტები ჩაებნენ.

მძლეოსნები სულ თერთმეტ, ხოლო ველოსიპედისტები სამ ეტაპზე გამოდიოდნენ.

ფინიშთან პირველი „ქარიშხალას“ პირველი გუნდი მივიდა. ამ საზოგადოების 14 სპორტსმენმა ტრასის შემოვლას 15 წუთი და 59 წამი მოანდომა. სპარტაკელები მათ 5 წამით ჩამორჩნენ, პრიზის უწინდელი მფლობელი დინამოელები კი — 12 წამით.

ორი ჩემპიონი საქართველოდან


ვინსკში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში საქართველოს მხოლოდ ორმა წარმომადგენელმა დაიმშვენა მკერდი ოქროს მედლით, მხოლოდო, იმიტომ გამბობ, რომ მათ შორის, ვინც უძლიერესის სახელის მოპოვება ვერ შეძლო, იყვნენ ლევან თედიაშვილი, ნოდარ ხოხაშვილი, ნოდარ მოდებაძე და სხვები.

ორიოდე სიტყვა გამარჯვებულთა შესახებ: 57 კილოგრამ წონითს კატეგორიაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა თბილისელი ტარიელ ალიბეგაშვილი, ახალგაზრდა სპორტსმენმა ეს საპატიო ტიტული მესამედ მოიპოვა. იმ სპორტსმენთა შორის კი, რომელთა წონა 90 კილოგრამს აღწევს, ბადალი არ ჰყავდა სოხუმელ ვლადიმერ მარშანიას. ვლადიმერი გამარჯვებულის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე პირველად ავიდა.

წინ ფინალია

ლევისის თასის გათამაშების ევროპული „ა“- ზონის ნახევარფინალურ მატჩში საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრების მოწინააღმდეგე პოლონეთის გუნდი გახლდათ. ვარშავაში ჩვენი ქვეყნის ღირსებას ალექსანდრე მეტრეველთან ერთად თეიმურაზ კ-კულიაც იცავდა.

ახალგაზრდა ქართველი ჩოგბურთელის დებიუტი წარმატებით აღინიშნა. მეტრეველის მიერ პოლონელ ნოვიცკისთან მოპოვებულ გამარჯვებას კაკულიამაც მხარი აუბა და შეუპოვარ ბრძოლაში დაამარცხა მასპინძელთა პირველი ჩოგანი გონშორეკი. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 4:1 საბჭოთა ჩოგბურთელების სასარგებლოდ. ევროპული „ა“ ზონის ფინალში საბჭოთა ჩოგბურთელები რუმინელებს შეხვდებიან.



სურათზე: სპორტის ქვარცხლბეკზე ნაძერწ ალბერტვილის და ალბერტვილი.

ქობა, ერთობა და სიყვარული

საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავის საიუბილეოდ გამომცემლობა „მერანი“ გამოსაცემად ამზადებს „აჯერგაიჯანული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიას“. წიგნი შეადგინა და თარგმნა პოეტმა ლეილა მრაქმ.

გთავაზობთ რამდენიმე ლექსს ამ წიგნიდან.

ეაეშლიეჭვილი

„სამშობლო მიყვარს“,
ნეტავ რას ფიქრობ,
ამას რომ ამბობ,
ან რა გგონია,
უსამშობლოოდ,
უსიყვარულოდ
განა სიცოცხლე გაგიგონია?!
იქნებ ამისთვის
ქებას მოითხოვ,
იქნებ ამისთვის
ჯილდოს მოელი,
შენ რაც გაქვს —
გრძნობა,
სიხსლი,
გონება,
სამშობლომ შენმა
მოგცა ყოველი.
და თუკი გიყვარს
შენი სახლ-კარი,
შენი დედული,
შენი მამული,
ისევ სამშობლოს
ვალში ჩამდგარხარ,
ისევ მისით ხარ ცრემლდანამული.
გიყვარს სამშობლო?
ნუ ელი ჯილდოს,
და ნურც გახძახი —
ეს რა წესია!
რად ულირს ყოფა მამულიშვილსა,
ვისაც მისთვის არ დაუკვნესია?

ბაჭთიარ ვაჰაბზადე

ეე ვირჩევნია

შემოვიარე ეს ქვეყანა,
რადგან გულს სურდა, —
ხან ტკბილი ვნახე,
ხან შემოვხვდი
დღეებს დაზაფრულს,
მაგრამ სამშობლოს
სუსხიანი რიყრაყი თუნდაც
მე მირჩევნია
უცხოეთის ათას გაზაფხულს!

პი. ეე რა ვთქვი

ერთხელ პარიზში მკითხეს ქალებმა:
— ჩვენი პარიზი მოგწონთ ძალიან?
მე ვერ დავფარე აღფრთოვანება
და ვთქვი:
— პარიზი ქვეყნის თვალია!
— ეიფელის კოშკს რა შეედრება!
— წარმტაცია და მართლაც დიადი.
სენას ვაქებდი, ზენარს ვეედრებდი, —
მტკვართან გამენდო მე ხვაშიადი.
მე ამ ქალაქში ვიქეც თვალებად,
მაგრამ დიდ სურვილს მაინც ვერ
ვმალავ, —
რომ შინისაკენ მიმეხარება,
შენს მამულს რამე სჯობია განა?
მომწონს პარიზი.
მე არ მჩვევია,
დიდებას ვეჭვრეტდე განგებ ამრეზით,
მაგრამ სულ სხვაა შენი კერია,
სულ სხვაა შენი მტკვარი, არეზი.
ძარღვებში მე სულ სხვა სისხლი
მიჩქეფს,
ჩემი ღრუბელი სულ სხვა ფერია,
შშობელო მთებო,
ველებო სივრცე
მე თქვენზე ფიქრში დამისერია.

ნაბი ხაზრი

უცხოეთში

უცხოეთში ვარ,
ამ გზებს თოვლიანს
მივყვები,
მძლიეს ძველმა ფიქრებმა,
და მე მარტო ვარ,
ისე მგონია,
ჩემი საშველი აღარ იქნება.
მაგრამ თანა მდევს
გრძნობა ჩვეული,
გვერდით მიმყვება,
წუთით არ მტოვებს,
უველა სხვათაგან გამორჩეული
ის მიმსუბუქებს
ამ სიმარტოვეს.
უინვაც დამშრავდა,
ის რომ არ იყოს,
უველას ვერ ეტყვი,
მიჭირს გამხელა,
მე უიმისოდ უველა გამრიყავს —
სამშობლო ჩემი ჰქვია სახელად.

გასიმ გასიმზადე

დედაენა

საზღვარგარეთელ თანამემამულეთათვის

მედგენილი გალერიან რამიშვილის მიერ

იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ მიხედვით

გაკვეთილი 23



ჟირაფი

ჟი-რა-ფი

ჟ ი რ ა ფ ი


ჟ

ჟო-ლო. მა-ჟა-ლო. გა-რიჟ-რა-ჟი. მჟა-ვე. ჟივ-ჟი-ვებს.

მაჟალო მჟავეა. ეაეაჩო ლამაზია. ეს ჩემი გარაჟია. გარიჟრაჟზე ბეღურა ჟივჟივებს.

ჟირაფი მაღალია. მას გრძელი და ლამაზი ყელი უნდება. ვარდი ყველას უყვარს.

ურემი უსაროდ არ ვარგაო.




გაკვეთილი 24

ჰეჰელა

ჰე-ჰე-ლა

ჰ ე ჰ ე ლ ა


ჰ



ჰა-ჰა. ჰუ-რი. სჰი-ლო. ჰარ-კი.


ჰავლე ჰურს ეიდულობს. ეოჩივარდა ქვეყვილია. კახა შეშას აჰობს. ჰელო ჰეჰლებს დასდევს.

თბილისის ზოოპარკში სჰილოა. დაბეყილი სილი ლჰება. ჰაჰა შვილიშეილებს ზღაპარს უყვება. ბათუმში ლამაზი ჰარკია.



არ დაივიწყოთ, ისწავლეთ მშობლიური ქართული!





მოხუცის სატკივარი

„პატივცემულო რედაქციავ! ამბავი, რომლის შესახებაც ეხლა მოგითხრობთ, ჩემი, მოხუცებული გულის ძველისძველი სატკივარია. 80 წელს გადაცილებული კაცი მოგონებებს რომ აჰყვება და დახმარებისთვის თქვენ მოგმართავთ, მერწმუნეთ, მას ძალიან გაუჭირდა და ყური უნდა დაუგდოთ..“

წერილის ეს დასაწყისი, რომელიც ახმეტაში მცხოვრებ ალექსი გიორგის ძე ძიძიშვილისაგან მივიღეთ, ღრმა გულისნადების განდობას გვპირდებოდა და არც შეგმცდარვართ...

პირველი მსოფლიო ომი ალექსი ძიძიშვილისათვის ტყვეობით დამთავრდა. გაიგეს ვაზის ქვეყნიდან რომ იყო და ქალაქ ბერვალდში ერთ მემამულესთან ვენახის მომვლელად განაწესეს. ლამაზი ჰაბუკი ბევრ გერმანელ ქალიშვილს მოსდიოდა თვალში, მან კი ყველას უნა ჰოეპფნერი არჩია. ორშვილიან ქვრივს ქართველი კაცი ნამდვილ მეგობრად ამოუდგა მხარში. გადიოდა წლები. ოჯახს კიდევ ორი ბავშვი შეემატა. უფროსს ქარლი დაარქვეს, უმცროს — ფიდა. გერმანელებისათვის ძნელად გამოსათქმელი გვარის ძიძიშვილის ნაცვლად ბავშვების დაბადების მოწმობაში დოჩიშვილი ჩაწერეს.

შემდეგ... სამშობლოზე ფიქრმა დადგა ალექსი. ქვეყანა რომ დაწყნარდა, მეუღლეს საქართველოში წამოსვლა შესთავაზა. ქალმა ჯერ იუარა, მერე თითქოს დათანხმდა კიდეც, მაგრამ ერთად წამოსვლა მაინც ვერ მოახერხეს.

ალექსი მარტო დაადგა სამშობლოსაკენ მომავალ გზას. ფიქრობდა: ჩავალ შინ, მივიხედ-მოვიხედავ, თუ მეცხოვრება, ცოლ-შვილსაც ჩემიანებთან ჩავიყვან, თუ არადა, ისევ გერმანიაში დავბრუნდებიო. მაგრამ ნათქვამია — კაცი ბჭობს, ღმერთი იცინისო, ეხლა აქაური საზრუნავი და სადავიდარაბო გაუჩნდა ალექსის.

მალე ისევ ერთად ვიქნებითო — ახუგეშებდნენ ერთმანეთს ათასობით კილომეტრებით დაშორებული ცოლ-ქმარი. ლოდინსა და იმედში განვლო ათმა წელიწადმა. 1929 წლიდან კი ახმეტიდან გერმანიაში გაგზავნილ ბარათებზე პასუხი აღარ მოსულა.

ცხოვრება თავისას თხოულობდა და ალექსი მშობლიურ მიწაზე ცოლ-შვილს მოეკიდა. დღეს იგი ბედნიერი კაცია. ჰყავს შვილები და შვილიშვილები, ოთხმოც წელს გადაცილებულს ახლობლები ზრუნვასა და პატივისცემას არ აკლებენ, ხარობს ბერიკაცი, მაგრამ გულს მაინც იქ, გერმანიაში დატოვებულ ცოლ-შვილზე ფიქრი უღრღნის.

ცოცხალია თუ არა ანა, რას აკეთებენ ქარლი და ფიდა? კითხვები დღენიადაგ არ ასვენებენ, პასუხს თხოულობენ და მოხუცმა სხვა გზით რომ გერაფერი გააწყო, ჩვენ მოგვმართა...

იმედია, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეები ჩვენთან ერთად გაიზიარებენ ახმეტელი კაცის ალექსი ძიძიშვილის გულისტკივილს და დაეხმარებიან მას გერმანიაში დაკარგული ცოლ-შვილის ძებნაში. ანა შეიძლება ცოცხალი აღარც იყოს, მაგრამ ყველას მამაშვილური ვალია მოვძებნოთ უცხოეთში მცხოვრები ორი ქართველი — ქარლი და ფიდა დოჩიშვილები. იქნებ როგორმე ავუსრულოთ საწადელი მოხუცს, თავის წერილს ამ სიტყვებით რომ ამთავრებს— 82 წლისა ვარ და აღბათ მალე დავბერდე ამ ქვეყანას, მინდა ისე არ მოვკვდე, რომ ვერ გავიგო ჩემი შვილების ამბავი...

რევაზ მაჭავარიანი

• • •

რედაქციისაგან: ძიძიშვილის შვილების — დოჩიშვილების უკანასკნელი მისამართია: Bärwalde (Neumark) Grosse Anlage, 271, Frau Anna Höpfner.

სურათებზე: ალექსი ძიძიშვილი სიჭაბუკეში; ანა ჰოეპფნერი შვილებთან — მარცხნივ ქარლი, მარჯვნივ ფიდა.

სამშობლო, როგორც დედა, ერთია ქვეყანაზე...

გაზეთ „სამშობლოს“ შარშანდელ, 27 აგვისტოს № 16-ში გამოქვეყნდა წერილი — „ჩემს ერთან, ჩემიანებთან“. წერილის ავტორი, საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულე გრიგოლ სულაძე თხოვნით მიმართავდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას დახმარებოდნენ ქუთაისში მცხოვრები მისი ახლო ნათესავების მოძებნაში.

საზოგადოების თანამშრომლები დიდი ყურადღებით ეკიდებიან ყოველ წერილს, მით უფრო, თუ საქმე დიდი ხნის უნახავი ახლობლისა თუ ნათესავის ძებნას შეეხება. ყოველი ადამიანისათვის, დედამიწის რომელ კუთხეშიც და რა პირობებშიც არ უნდა ცხოვრობდეს, საკუთარი სისხლ-ხორცის სიახლოვე ბევრს ნიშნავს, ძალიან ბევრს.

საზოგადოებას გრიგოლ სულაძის ნათესავების ადგილსამყოფელის დადგენაში დახმარება გაუწიეს ქუთაისის აღმასკომის თანამშრომლებმა. მალე საზოგადოებაში მოვიდნენ გრიგოლ სულაძის და — თამარი და მისი ძმისწულები. თურმე კარგახანია საცხოვრებლად გადმოსულან თბილისში.

და აი, იქმნა კიდევ ერთი კეთილი საქმე.

„...არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა იმ ღვაწლზე, რომელიც თქვენ ჩემზე დარგეთ, — ვკითხულობთ გრიგოლ სულაძის სამადლობო წერილში, — თქვენის მეოხებით მეღირსა უდიდესი სიხარული და ბედნიერება სიბერის ხანში. თქვენი კეთილი და ქართველური მგრძნობიარობის საშუალებით კვლავ აღვადგინე ურთიერთობა ჩემს საყვარელ ერთან, ჩემს დაუვიწყარ დასთან, ძმისწულებთან და ნათესავებთან. მივიღე მათგან წერილები, ფოტოსურათები. ამ დიდად სასიხარულო ამბავმა გამამხნევა და გამაახალგაზრდავა. მივიღე აგრეთვე „სამშობლოს“ ნომერიც ჩემი დის და ძმისწულთა სურათებით. მე, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, როგორც გწერდით, საქართველოს დამაშორა 1914-1918 წლის დიდმა ომმა. მე საქართველოს არ მოვშორებივარ არც სწავლის შეძენის მიზეზით და არც ადვილი ცხოვრების საძებნელად. ომმა, მხოლოდ ომმა მომწყვიტა ჩემს სამშობლოს. მეც ვცადე რამდენიმე წლის განმავლობაში კავშირის აღდგენა ჩემს ერთან, მაგრამ რევოლუციის და თავისუფლებისათვის ბრძოლის ქარიშხალმა დამაბრკოლა და რამდენიმე წლის შემდეგ უიმედოდ ჩავიქნიე ხელი. მაგრამ ჩემი სამშობლო და ჩემი ერი არ დამივიწყებია და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ, კვლავ მეღირსა საშუალება კავშირის აღდგენისა ჩემს აყვავებულ და ლამაზ სამშობლოსთან, ჩემ საყვარელ მახლობელ ნათესავებთან თქვენის მეოხებით. არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, გისურვებთ გამარჯვებას, ჩემო ძმებო და შვილებო, გაგიმარჯოთ თქვენ, გაუმარჯოს ჩვენს ერს, გაუმარჯოს საქართველოს“!

რამდენიმე ხნის წინათ კვლავ მივიღეთ გრიგოლ სულაძის წერილი: „გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერ ცხოვრებას, თქვენ, მთელ თქვენს ოჯახს და თქვენთან ერთად მთელ ქართველ ერს. თქვენი ადამიანური და ქართული გრძნობით მოქმედებას ჩემდამი არ დავივიწყებ ჩემს დღეში, თქვენი საშუალებით ვიპოვნე მე, უეჭველად დაკარგულმა საქართველოს შვილმა, მრავალი ხნის განმავლობაში უცხოეთში გადახვეწილმა, ჩემი საყვარელი და და სიძე, ძმისწულები და ნათესავნი, ჩემი საყვარელი ერის შვილები. თქვენის მეოხებით კვლავ გამოიღვიძა ჩემში, (თუმცა იგი სამუდამოდ არასოდეს არ ჩამქრალა) ჩემი ლამაზი კუთხის სიყვარულმა, მასზე ფიქრმა და კვლავ იმედებით სავსე მაქვს გული“...

სამშობლო თანაბრად ძვირფასია ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის, ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა, თავისი ერი. უცხოეთში მყოფ ადამიანს სამშობლოს სითბო რომ არ ათბობდეს, მისი სუნთქვა რომ არ ესმოდეს, მისი გულის ფეთქვას რომ არ გრძნობდეს, რა ფასი ექნებოდა სიცოცხლეს! ყოველივე ეს კი შესაძლებელია, თუ მჭიდრო კავშირი გვექნება დიდა-სამშობლოსთან.

ჯუმბერ ჯიქიძე,
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი

რედაქტორი გივი კარბელაშვილი

ჩვენი მისამართი: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.

ინდექსი 66488